



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის  
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი  
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვა სამოქალაქო კანონმდებლობის  
მიხედვით

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

ლაშა სვანიძე

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი

რომან შენგელია

თბილისი

2020

## შინაარსი

ანოტაცია .....	4
Annotation.....	5
შესავალი .....	6
თავი I ლიტერატურის მიმოხილვა.....	9
თავი II. ხელშეკრულების თავისუფლების განვითარების ისტორიული მიმოხილვა.....	14
2.1. ხელშეკრულების თავისუფლება რომისა და კონტინენტური ევროპის სამართალში .....	14
2.2. ხელშეკრულების თავისუფლება საქართველოში .....	16
2.2.1 ხელშეკრულების თავისუფლება ქართული სამართლის ძეგლების და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების მიხედვით.....	17
2.2.2 ხელშეკრულების თავისუფლება საბჭოთა საქართველოსა და დამოუკიდებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღების შემდგომ პერიოდში.....	18
თავი III. ხელშეკრულების თავისუფლება .....	20
3.1. ხელშეკრულების თავისუფლების ცნება, მნიშვნელობა და სამოქალაქო სამართლებრივი საფუძველი.....	21
3.2 კერძო ავტონომია როგორც ხელშეკრულების თავისუფლების საფუძველი.....	22
3.3. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მნიშვნელობა.....	23
3.4. ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები .....	24
3.4.1. ხელშეკრულების დადების თავისუფლება .....	25
3.4.1.1 კონტრაქტის არჩევის თავისუფლება, როგორც ხელშეკრულების დადების თავისუფლების გამოვლინება.....	25
3.4.2. ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება.....	26
3.4.2.1. ხელშეკრულების ფორმის თავისუფლება.....	27
3.4.2.2 ხელშეკრულების ტიპის თავისუფლება.....	27
3.5 ოფერტისა და აქცეპტის თავისუფლება სახელშეკრულებო თავისუფლების ქრილში.....	28
3.6. შუალედური შეჯამება .....	29
თავი IV. ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა.....	31
4.1. ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის საფუძველზე.....	32

4.1.1 კონტრაქტის იძულება როგორც ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი .....	33
4.2სამოქალაქოსამართლებრივი პრინციპები როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი .....	35
4.2.1სახელშეკრულებო თანასწორობა, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი.....	36
4.2.2 სახელშეკრულებო სამართლიანობა, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი.....	37
4.2.3 ხელშეკრულების თავისუფლების მიმართება კეთილსინდისიერების პრინციპთან.....	38
4.2.4 შუალედური შეჯამება .....	39
4.3. გარიგების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმების მნიშვნელობა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვისას.....	40
4.3.1. ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგების ქრილში .....	41
4.3.1.1. კანონით დადგენილი წესები და აკრძალვები, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი .....	42
4.3.1.2. საჯარო წესრიგი, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი.....	43
4.3.1.3.ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა ზნეობრივ ნორმებთან წინააღმდეგობის საფუძველით .....	44
4.3.2. შუალედური შეჯამება .....	45
თავი V კვლევის შედეგები.....	47
დასკვნა.....	52
გამოყენებული ლიტერატურა .....	55

## ანოტაცია

ხელშეკრულების, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების ლოგიკური შედეგისა და სამართალურთიერობებში მისი გამოვლინების უზარმაზარი ფუნქციონალური დანიშნულების გათვალისწინებით, თანამედროვე სამართლებრივ სივრცეში, ხელშეკრულების თავისუფლების, როგორც სამოქალაქო ბრუნვის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძვლის ჯეროვანი ნორმატიული მოწესრიგება, არსებითი მნიშვნელობის მატარებელია როგორც სამარლებრივი ინსტიტუტის ასევე მის საფუძველზე წარმოქმნილი სოციალური ურთიერთობების განვითარებათვის.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ხელშეკრულების თავისუფლების ძირითადი მახასიათებლები და მისი შეზღუდვის ნორმატიული საფუძვლები იმ კონტექსტში, რომელიც შესაძლებლობას იძლევა უკეთ წარმოჩინდეს საკითხის მიმართ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნები და არსებული ხარვეზები უფლების შეზღუდვის მართლზომიერების კრილში.

კვლევის ფარგლებში შესწავლილია ხელშეკრულების თავისუფლების, როგორც სამართლებრივი პრინციპის არსი და მნიშვნელობა, რომელთა საფუძველზეც განხილულია მისი რეალიზების ფარგლები იმ ნორმატიული მოწესრიგების გათვალისწინებით, რომლებიც თავისუფლების ზემოხსენებულ გამოვლენას სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევენ.

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, შესავალს, საკვლევი თემის მიმართ ჩატარებულ კვლევას, კვლევის შედეგებს, დასკვნასა და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს, რომლებიც ერთიანობაში სრულყოფილ წარმოდგენას ქმნის კვლევის ობიექტის მიმართ განსაზღვრულ მნიშვნელოვან საკითხებზე.

## **Annotation**

A contract, functioning as a logical consequence within public relations, in terms of law and legal regulations, requires a more liberate and normative institution, essential to warrant a more productive progress and turnover within a legal and civil development in any social establishment and environment.

This paper discusses the main features of freedom of contract and the normative grounds for its restriction in the context of the possibility to better present the existing legislative requirements and shortcomings in terms of the legitimacy of the restriction of the right.

The study examines the essence and importance of freedom of contract as a legal principle, on the basis of which the scope of its implementation is discussed, taking into account the normative regulations that make the above-mentioned expression of freedom within the legal framework.

The paper includes annotations, introductions, research on the research topic, research results, conclusions, and a list of used literature that provides a comprehensive picture of the important issues identified in the research object.

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** ხელშეკრულების თავისუფლებას, რომელიც სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო ბრუნვის განვითარებისთვის. თანამედროვე მართლწესრიგისათვის დამახასიათებელ სამართლებრივ სისტემებში, ხელშეკრულების თავისუფლება სამართლებრივ ინსტიტუტთან ერთად სამართლებრივი პრინციპის დონეზეა განსაზღვრული, რომლის გამოვლინებაც კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მნიშვნელოვან ნაწილში გვხვდება. აღნიშნული პრინციპი, რომლის საფუძვლადაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უნდა მივიჩნიოთ, ადგენს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირთა შესაძლებლობას, დამოუკიდებლად განსაზღვრონ რიგი საკითხები და ნების ავტონომიის ქმედითი გამოვლენის გზით დაიკმაყოფილონ გლობალიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლის შემდგომ წარმოქმნილი შესაძლებლობის ფარგლებში, ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა ტიპის ინტერესები.

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირთათვის საკუთარი ინტერესების დამოუკიდებლად დაკმაყოფილების შესაძლებლობის მიცემასთან ერთად, ხელშეკრულების თავისუფლება იძლევა ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა სამართლებრივი დაცვის გარანტიებსაც, რისთვისაც, პირთათვის მოქმედების თავისუფლების მიცემასთან ერთად, განსაზღვრავს აღნიშნული თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობასაც იმ მიზნების გათვალისწინებით, რომლებიც დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლებრივი ნორმების არსებობას განაპირობებენ.

ფარგლები, რომლებიც განსახილველი პრინციპის შეზღუდვას ადგენენ, განსაზღვრულია როგორც იმპერატიულად დადგენილი ნორმარტიული საფუძვლებით, ასევე უფლების პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად განვითარებული და დამკვიდრებული მიდგომებით, რომელიც ძირითადად სასამართლოს მიერ განსაზღვრულ პრაქტიკაში რეალიზდება.

ხელშეკრულების თავისუფლება, როგორც მრავალკომპონენტანი შესაძლებლობა, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირმა, სამოქალაქო ბრუნვის ჯეროვანი განვითარების ჭრილში, მოახერხოს საკუთარი სურვილებისა და ინტერესების დაკმაყოფილება, სოციალური ურთიერთობების ძირითად ნაწილში იჩენს თავს, რომლის გამოვლინებაზეც მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების

გამრავალფეროვნებისა და სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარებასთან ერთად, იცვლება აღნიშნული პრინციპის ფაქტობრივი გამოვლენის შესაძლებლობაც, რაც ბუნებრივად საჭიროებს უფლების შეზღუდვისათვის იმგვარი საფუძვლების განსაზღვრას, რომლებიც უზრუნველყოფენ თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნას.

სამართლის, როგორც მუდმივად განვითარებადი საზოგადოებრივი საჭიროების, ხელშეკრულების თავისუფლების კი სამართლის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტად აღიარება, რომელსაც უზარმაზარი პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს განსახილველი საკითხის აქტუალობას თანამედროვე რეალობაში, იმ ცვლილებებისა და სიახლეების გათვალისწინებით, რომლებიც საზოგადოებრივი ურთიერთობების მრავალი გამოვლინების თანმდევა.

**კვლევის მიზანი.** წინამდებარე ნაშრომის მიზანია, მოხდეს ხელშეკრულების თავისუფლების მნიშვნელობისა და მისი ფაქტობრივი გამოვლენისათვის გათვალისწინებული ფარგლების დადგენა უფლების შეზღუდვისათვის სამართლებრივად განსაზღვრული საფუძვლების კრილში. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მოხდეს იმ დოქტრინული მიდგომების განსაზღვრა, რომლებიც არსებითად განაპირობებენ ხელშეკრულების თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის საჭიროების მიმართ დადგენილ შესაძლებლობებს. განსახილველი საკითხის მოცულობითი ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობის უზარმაზარ სპექტრს და სამოქალაქო კანონმდებლობის აბსოლუტურ უმრავლესობას მოიცავს, ნაშრომში განხილული იქნება მხოლოდ ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ყველაზე მეტად შეიძლება იქნას აღქმული პრობლემურ საკითხებად, რომელთა წარმოჩენისა და განსაზღვრის შემდეგაც, შესაძლებელი იქნება მათი აღმოფხვრისათვის ოპტიმალური გზების მოძიება.

**კვლევის ამოცანა.** განსახილველი ნაშრომის შექმნისას განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია მოხდეს იმ ნორმატიული მოწესრიგების შესწავლა, რომლებიც ხელშეკრულების თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის საფუძვლებად გვევლინებიან. ხელშეკრულების თავისუფლების ნორმატიული საფუძვლების შესწავლასთან ერთად, საკითხის მიმართ არსებული დოქტრინული მიდგომების გაცნობა და სხვადასხვა საკვანძო საკითხის მიმართ სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის ანალიზი, შესაძლებლობას მოგვცემს სიღრმისეულად წარმოვაჩინოთ ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ხელშეკრულების თავისუფლების ფაქტობრივი გამოვლენისას პრობლემატურ ნიშნებად შეიძლება წარმოჩინდეს.

**კვლევის მეთოდები.** ნაშრომის კვლევის საფუძვლად გამოყენებულია ზოგადმეცნიერული მეთოდები, ზოგიერთი საკითხის მიმართ ისტორიული კვლევის მეთოდის გათვალისწინებით. ნაშრომში წარმოდგენილია ინფორმაციულ-შემეცნებითი კვლევის მეთოდი, რომელიც განსახილველი საკითხებისადმი ზოგადი წარმოდგენის შექმნას ემსახურება. კვლევაში განხილული სამართლებრივი დებულებების შესწავლისას გამოყენებულ იქნა ნორმატიული კვლევის მეთოდი. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია სასამართლო პრაქტიკა, რომელიც კვლევის ობიექტისათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან საკითხს ეხება. აღნიშულის გარდა, სამართლებრივად მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას გამოყენებულია ლოგიკური ანალიზისა და კრიტიკული ანალიზის სინთეზი, რომელთა მეშვეობითაც, საკითხის ნორმატიული მოწესრიგების გარდა, განხილულია დოქტრინული მიდგომები და სასამართლო პრაქტიკა.



## თავი I ლიტერატურის მიმოხილვა

„ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის განმსაზღვრელია. ის სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც ამ უფლების რეალიზაცია ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელ ელემენტადაა ქცეული.“<sup>1</sup>

ხელშეკრულების თავისუფლების აღნიშნული მნიშვნელობის გამო მისი, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის დოქტრინული კვლევა სამართლის მრავალი მკვლევარის ინტერესის საგანს წარმოადგენს. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, დარგის მკვლევარი მეცნიერები თუ პრაქტიკოსი იურისტები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებისა და აღნიშნული თავისუფლების შეზღუდვის გარშემო წარმოშობილ საკითხებს, რის შედეგადაც მრავლად მოიპოვებიან ნაშრომები, რომლებიც პირდაპირ ან/და ირიბად ეხებიან წინამდებარე კვლევით განსაზღვრულ საკითხებს.

წინამდებარე ნაშრომში განხილული საკითხის მოცულობითი ხასიათიდან გამომდინარე, რაც თავის მხრივ ხელშეკრულების თავისუფლების სამოქალაქო კანონმდებლობის აბსოლუტურ უმრავლესობასთან კავშირში გამოიხატება, ლიტერატურის უმრავლესობა, რომლებიც განსახილველ სამართლებრივ ინსტიტუტს მიმოიხილავს, არაპირდაპირ, სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან კავშირში ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები და მისი შეზღუდვის სამოქალაქო სამართლებრივი საფუძვლები.

ხელშეკრულების თავისუფლებასთან მიმართებით არსებული ლიტერატურიდან უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის მესამე წიგნი ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის შესახებ, სადაც განმარტებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების თავისუფლების სამართლებრივი ინსტიტუტის ცნება, ფარგლები და მისი შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები.

აღნიშნული შრომა ზოგადად განმარტავს იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც სამართლებრივი თვალსაზრისით არსებითად განაპირობებენ ხელშეკრულების თავისუფლების არსს, ნების ავტონომიის ფაქტობრივი გამოვლინების საფუძვლად სახელშეკრულებო ურთიერთობებში თავისუფლების გამოვლინების თვალსაზრისით. საქართველოს სამოქალაქო

<sup>1</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 30

კოდექსის კომენტარის მიხედვით, ხელშეკრულების თავისუფლება ორკომპონენტანია და გულისხმობს ხელშეკრულების დადებისა და ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობას,<sup>2</sup> რომლებიც თავის მხრივ სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარეთა ნების თავისუფლად გამოვლენის შესაძლებლობასთან ერთად განსაზღვრავენ აღნიშნული თავისუფლების ფარგლებსაც.

ნაშრომში, ხელშეკრულების თავისუფლების ცნებასა და მისი რეალიზებისათვის განსაზღვრულ ფარგლებთან ერთად განხილულია სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის ისეთი საფუძვლებიც, როგორცაა სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვის აუცილებლობა ხელშეკრულების დადებისას და „კონტრაქტის იძულება“, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის სამოქალაქოსამართლებრივი საფუძველი.<sup>3</sup>

ხელშეკრულების თავისუფლების ზოგად განმარტებასა და შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლებს შეიცავს 2014 წელს გამოცემული სახელმძღვანელო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ,<sup>4</sup> რომელიც ისევე როგორც სამოქალაქო კოდექსის ზემოხსენებული კომენტარი, ინფორმაციულ-შემეცნებითი ხასიათისაა და ზოგად წარმოდგენას აყალიბებს განსახილველი სამართლებრივი ინსტიტუტის ცნებისა და მისი ფაქტობრივი გამოვლენისათვის განსაზღვრული ფარგლების შესახებ.

სახელშეკრულებო თავისუფლების სამართლებრივი პრინციპის არსს და მნიშვნელობას ეხება ირაკლი შენგელიას სტატია, რომლის მიხედვითაც „ახალი ქართული სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, ცენტრალურ ინსტიტუტს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი წარმოადგენს.“<sup>5</sup>

აღნიშნულ სტატიაში განხილულია ხელშეკრულების თავისუფლების მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთათვის თავისუფლების მიცემის თვალსაზრისით და აღნიშნული თავისუფლებისათვის დამახასიათებელი ელემენტები ზოგადად, სახელშეკრულებო თავისუფლების განმსაზღვრელ თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებთან ერთად.

---

<sup>2</sup> ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე, თ. ნინიძე, რ. შენგელია, ჯ. ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001, გვ. 58

<sup>3</sup> ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე, თ. ნინიძე, რ. შენგელია, ჯ. ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001, გვ. 62-65

<sup>4</sup> ზ. ძლიერუშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი (სახელშეკრულებო სამართალი სკოლებისთვის) თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014;

<sup>5</sup> ი. შენგელია, სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2009, ნომ. 4, გვ. 44

სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებსა და მისი შეზღუდვის სამართლებრივ წინაპირობებს ეხება პროფესორ სერგი ჯორბენაძის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე „ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში“<sup>6</sup> და აღნიშნული დისერტაციის საფუძვლად, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის მიერ გამოცემული მონოგრაფია „სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში“<sup>7</sup>, რომელშიც სიღრმისეულადაა განხილული ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც არსებითად განაპირობებენ როგორც განსახლველი პრინციპის სამართლებრივ თუ პრაქტიკულ მნიშვნელობას, ასევე მისი შეზღუდვისათვის დადგენილი ფარგლებისა და დანიშნულებას. ნაშრომში განმარტებულია სახელშეკრულებო თავისუფლების განვითარების ისტორიული საფუძვლები სხვადასხვა ეპოქისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი წყობის ჭრილში, დაწყებული რომის სამართალში სახელშეკრულებო თავისუფლების ნიშნებიდან, დამთავრებული დღევანდელ დღეს პრინციპის საკანონმდებლო მოწესრიგებით. მონოგრაფია შეიცავს სახელშეკრულებო თავისუფლების მნიშვნელობის და მისი სამართლებრივი საფუძვლების განხილვას როგორც კონსტიტუციური უფლებების, ასევე კერძოსამართლებრივი პრინციპების თვალსაზრისით. განსახილველ შრომაში დეტალურადაა განმარტებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის არსი და კერძოსამართლებრივი დანიშნულება ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტებისა და პრინციპების მიმართებით, როგორებიცაა ნების ავტონომია, კეთილსინდისიერება, თავისუფლება და სხვა. სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის შეზღუდვის სამართლებრივი წინაპირობების კვლევისას, განხილულია შეზღუდვის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები სამოქალაქო კანონმდებლობისათვის დამახასიათებელი პრინციპების ჭრილში, რითაც თავისუფლების საჭიროებასთან ერთად განხილულია მისი შეზღუდვის აუცილებლობა სამოქალაქო ბრუნვის განვითარებისა და ეკონომიკური წინსვლის უწყვეტობის თვალსაზრისით.

ხელშეკრულების თავისუფლების ისტორიული განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა განსახილველი პრინციპის ჩამოყალიბებასა და მისი მოქმედების ფარგლების განსაზღვრის თვალსაზრისით. დაწყებული რომის სამართლიდან, დამთავრებული თანამედროვე საზოგადოების სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის სამართლებრივი მოწესრიგებით,

---

<sup>6</sup> ს. ჯორბენაძე, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე „ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, თბ., 2016 [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/sergi\\_jorbenadze.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/sergi_jorbenadze.pdf) წვდომის თარიღი 20.06.2020

<sup>7</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017

მუდმივად იცვლებოდა პრინციპის მოქმედების არეალი. რომის სამართალში, ხელშეკრულების თავისუფლებისათვის დამახასიათებელი ნიშნების არსებობის შესახებ საკითხის განხილვისას, კვლევისას გამოყენებულ სხვა ნაშრომებთან ერთად, მნიშვნელოვან დოქტრინულ წყაროდ გვევლინება პროფესორ გივი ლობჯანიძის მონოგრაფია „რომის სახელმწიფო და სამართალი“ რომლის მეორე ნაწილიც რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალს ეხება. აღნიშნულ ნაშრომში დეტალურადაა განხილული იმ პერიოდისათვის მოქმედი სახელშეკრულებო სამართლის მომწესრიგებელი დებულებები, რაც შესაძლებლობას იძლევა მკაფიოდ გამოიკვეთოს თავისუფლების იმგვარი ნიშნები, რომლებიც ხელშეკრულების თავისუფლებისათვისაა დამახასიათებელი.<sup>8</sup>

ცალკე აღნიშვნის ღირსია მარიო პელეგრინოს ნაშრომი „პოსტ-კომუნიზმი და სამოქალაქო სამართალი“ რომელიც ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მოქმედებას, ქართული ვალდებულებითი სამართლის სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, განიხილავს სოციალისტური წყობისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი რეჟიმის კონტექსტში, რომლის მიხედვითაც საბჭოთა საქართველოსათვის დამახასიათებელი გეგმიური მეურნეობის პირობებში, ხელშეკრულების თავისუფლება, როგორც საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედი ქმედითი სამოქალაქოსამართლებრივი ინსტიტუტი, ნების ავტონომიის ტოტალური შეზღუდვის პირობებში, ფაქტობრივად მოკლებული იყო შესაძლებლობას, რეალიზებულყო ყოფითი ურთიერთობების უმრავლესობაში.<sup>9</sup>

კვლევით განსაზღვრული სხვადასხვა საკვანძო საკითხის შესწავლისას, სახელშეკრულებო თავისუფლების ცნების, მისი სამოქალაქოსამართლებრივი საფუძვლებისა და შეზღუდვის ნორმატიული წინაპირობების დადგენის თვალსაზრისით, ნაშრომში, სხვადასხვა ავტორის მიერ განხორციელებულ კვლევებთან ერთად, განხილულია პროფესორ ლადო ჭანტურიას შრომები „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“ და „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“. განსახილველ მონოგრაფიებში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, საბაზრო მეურნეობის პრინციპებისათვის დამახასიათებელმა ნიშნებმა, ხელშეკრულების თავისუფლება კერძო სამართლის მნიშვნელოვან ნაწილად აქცია,<sup>10</sup> რომელიც უზარმაზარ როლს თამაშობს საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

<sup>8</sup> რომის სახელმწიფო და სამართალი, ნაწილი II, რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალი, რედ., რომან შენგელია, ქუთ., გამომც., „საგამომცემლო ცენტრი“, 2009

<sup>9</sup> M. Pellegrino, Postkommunismus und Zivilrecht, das Obligationenrecht Georgiens, Europaischer Verlag der Wissenschaften, Frankfurt am Main, Peter Lang, 1997, seite 116

<sup>10</sup> ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომცემლობა „სამართალი“, 2011, გვ. 17

სახელშეკრულებო თავისუფლების უზარმაზარი პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარე, რაც მის სამოქალაქო ბრუნვის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად მიჩნევაში გამოიხატება, პრინციპის შეზღუდვა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე პირთა ინტერესების დაბალანსებისა და სამართლებრივად გარანტირებული უფლებების დაცვის თვალსაზრისით,<sup>11</sup> რაც განპირობებულია დათქმიდან, რომლის მიხედვითაც სამოქალაქოსამართლებრივი უფლების განხორციელების პროცესში თავისუფლების გამოვლენა ნებადართულია მანამ, სანამ აღნიშნული თავისუფლება უსაფუძვლოდ არ შელახავს სხვათა თავისუფლებას.<sup>12</sup> პროფესორი დავით კერესელიძე, საკუთარ ნაშრომში „კერძო სამართლის უზოგადესის სისტემური ცნებები“ ეხება ისეთ საკითხებს, სამოქალაქოსამართლებრივი პრინციპების სახით, რომლებიც არსებითად განაპირობებენ განსახილველი კვლევით განსაზღვრული სამოქალაქოსამართლებრივი პრინციპის შეზღუდვის ნორმატიულ საფუძვლებს და შეზღუდვის ლეგიტიმურობას ურთიერთობის მონაწილე პირთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

ზემოხსენებული ლიტერატურის გარდა, კვლევით განსაზღვრული, სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლების განხილვისას, გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ტიპის, მათ შორიც უცხოენოვანი, სამეცნიერო ნაშრომი და სასამართლო პრაქტიკა, რომლებიც ფრაგმენტულად ეხებოდნენ წინამდებარე კვლევით განსაზღვრულ ისეთ საკითხებს, როგორცაა თავისუფლების მნიშვნელობა, კეთილსინდისიერება, თანასწორობა, სამართლიანობა და სხვა. მიუხედავად მითითებულ ლიტერატურაში, სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის მიმართ დამკვიდრებული მიდგომების ფრაგმენტული ხასიათისა, რაც ბუნებრივად გამორიცხავს წინამდებარე თავში მათი დეტალურად განხილვის შესაძლებლობას, ავტორთა მიერ განვითარებულმა მოსაზრებებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს კვლევით განსაზღვრული მიზნების მიღწევაში და სხვადასხვა საკითხის მიმართ იმგვარი პოზიციის ჩამოყალიბებაში, რომელიც შესაძლებლობას ქმნის სისტემური თვალსაზრისით ერთიანობაში მოხდეს ნაშრომით განსაზღვრული ამოცანების მიღწევა.

---

<sup>11</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 85

<sup>12</sup> დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესის სისტემური ცნებები, თბ., გამომც. „ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი“ 2009, გვ. 9

## თავი II. ხელშეკრულების თავისუფლების განვითარების ისტორიული მიმოხილვა

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, რომლის ნორმატიული მოწესრიგებაც დემოკრატიული წყობილების თითქმის ყველა სახელმწიფოს კანონმდებლობაში გვხვდება,<sup>13</sup> ისტორიულ განვითარების თვალსაზრისით, არსებით კავშირშია ხელშეკრულების განვითარების ისტორიულ საფუძვლებთან. განსახილველი პრინციპი დროთა განმავლობაში ვითარდებოდა და იძენდა იმგვარ სახეს, რომლითაც იგი დღევანდელ დღეს გვხვდება, რაც თავის მხრივ განპირობებული იყო სხვადასხვა ეპოქისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი წყობით, საზოგადოებრივი საჭიროებებითა და სხვა.

მართალია, ხელშეკრულების თავისუფლებას, ნორმატიული მოწესრიგების თვალსაზრისით, განსხვავებულ დროებაში, იმგვარი სახე არ ჰქონდა, როგორც ეს თანამედროვე სამყაროშია განსაზღვრული, თუმცა გარკვეული დამოუკიდებელი ნიშნების განსაზღვრა თითოეულ მათგანში მაინც შესაძლებელი იყო,<sup>14</sup> რომელთა განვითარების შედეგადაც უნდა მივიჩნიოთ პრინციპი, რომლის მიხედვითაც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირები, უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულებით შეთანხმდნენ ნებისმიერ საკითხზე, რომელიც კანონით არ არის აკრძალული.

### 2.1. ხელშეკრულების თავისუფლება რომისა და კონტინენტური ევროპის სამართალში

თანამედროვე სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების ისტორიული საფუძვლების განხილვა შეუძლებელია რომის სამართლისა და იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ნორმატიული მოწესრიგების გვერდის ავლით. სამოქალაქო სამართალში მოქმედი მრავალი დარგი საფუძველს სწორედ რომის სამართლიდან იღებს, რომელთაც, ანალოგი სამართლებრივი ინსტიტუტი, იმ პერიოდისათვის მოქმედ სამართლებრივ

<sup>13</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 34

<sup>14</sup> იქვე.

რეალობაში გააჩნდათ. გამონაკლისს არც ხელშეკრულების თავისუფლება წარმოადგენს. მართალია, რომის სამართალში ხელშეკრულების თავისუფლება არ იყო იმგვარად წარმოდგენილი როგორც ეს დღევანდელ რეალობაში გვხვდება, თუმცა იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი გარკვეული პრინციპების არსებობა სწორედ სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარეთა მიერ თავისუფალი ნების გამოვლენის შესაძლებლობად უნდა შეფასდეს, რაც თავის მხრივ ხელშეკრულების თავისუფლების რომის სამართლისათვის დამახასიათებელ ქმედებად მიჩნევის შესაძლებლობას იძლევა.

ხელშეკრულება, რომის სამართალში, განხილული იყო როგორც ორი ან მეტი პირის შეთანხმება, რომელიც გარკვეულ ვალდებულებებს წარმოშობდა და იყოფოდა რამდენიმე სახედ, კერძოდ: კეთილსინდისიერებაზე დამყარებულ მკაცრი სამართლის ხელშეკრულებებად, ვერბალურად და წერილობით დადებულ ხელშეკრულებებად, რეალურად და კონსესუალურად-ანუ საერთო აზრიდან წარმოშობილ ხელშეკრულებებად,<sup>15</sup> რომელთა მიმართაც, თითოეულის შემთხვევაში განსაზღვრული იყო გარკვეული მოთხოვნები, ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმების საფუძველზე დადების და მის იმ პერიოდისათვის მოქმედ ნორმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.<sup>16</sup> აღნიშნული მოთხოვნები, რომლებიც ერთის მხრივ გარკვეულ შეზღუდვებს აწესებდნენ ხელშეკრულების თითოეული სახის მიმართ, იმავდრიულად განამტკიცებდნენ სამართალურთერთობისას პირის მოქმედების თავისუფლების შესაძლებლობას მოქმედ პრინციპებთან შესაბამისობით.

რომის სამართლის მიხედვით, სახელშეკრულებო სამართლის ნორმები მხარეებს უფლებას აძლევდა დამოუკიდებლად გადაეწყვიტათ შესულიყვნენ თუ არა ამა თუ იმ სახელშეკრულებო ურთიერთობაში,<sup>17</sup> რაც სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ხელშეკრულების დადების თავისუფლების ნათელ მაგალითს. თავისუფლების აღნიშნული გამოვლინება სამართლებრივ ძალას იძენდა „მხოლოდ იმ ძირითადი წესების მკაცრი დაცვის შემდეგ, რასაც ითვალისწინებდა ხელშეკრულების არსებითი ელემენტები.“<sup>18</sup> იმპერატიულად განსაზღვრული სახელშეკრულებო მოთხოვნების გარდა, რომის სამართალი ცნობდა დისპოზიციური ბუნების წესებსაც, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იყო გარკვეულ შემთხვევებში სახელშეკრულებო ურთიერთობის

<sup>15</sup> კ. როდინამე, რომის კერძო სამართალი, პირველი გამოცემა, ბათ. გამომც. „შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2009, გვ 54.

<sup>16</sup> ს. ჯორბენამე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 35

<sup>17</sup> გ. ლობჯანიძე, რომის სახელმწიფო და სამართალი, ნაწილი II, რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალი, რედ., რომან შენგელია, ქუთ., გამომც., „საგამომცემლო ცენტრი“, 2009, გვ. 294

<sup>18</sup> იქვე

მონაწილე პირებს თავად განესაზღვრათ ხელშეკრულების ზოგიერთი პირობა, რითაც შესაძლებელი იყო ნების ფაქტობრივი გამოვლინებისათვისათვის სამართლებრივი ფორმის მიცემა.

რომის სამართალში გათვალისწინებული სახელშეკრულებო თავისუფლების ზოგიერთი გამოვლინება,<sup>19</sup> კანონში გაწერილ სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებთან ერთად თანამედროვე ეპოქაში უფრო და უფრო ვითარებოდა,<sup>20</sup> რომლის შედეგადაც, ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში სამოქალაქო და სახელშეკრულებო სამართლის განვითარების მოქმედი მოწესრიგება უნდა მივიჩნიოთ.

კონტინენტური სამართლის ოჯახის წევრი ქვეყნებისათვის ხელშეკრულების თავისუფლების განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპად XIX საუკუნე მიიჩნევა.<sup>21</sup> აღნიშნულ პერიოდში, ევროპის მრავალ ქვეყანაში, სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური საფუძვლით განპირობებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრეს სახელშეკრულებო თავისუფლების განმტკიცება სამართლებრივ სივრცეში და მისი ნორმატიული მოწესრიგება.<sup>22</sup> აღნიშნულის მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, რომლის შექმნის პერიოდშიც, ხელშეკრულების თავისუფლება განხილულ იყო როგორც კერძოსამართლებრივი ურთერთბების უმნიშვნელოვანესი საფუძველი,<sup>23</sup> რამაც შემდგომში ასახვა ე.წ. „ვაიმარის კონსტიტუციაში“ ჰპოვა.<sup>24</sup>

## 2.2. ხელშეკრულების თავისუფლება საქართველოში

ხელშეკრულება, როგორც საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების ლოგიკური შედეგი, ვითარდებოდა იმ მიზნებისა და მოთხოვნების შესაბამისად, რომლებსაც მის მიმართ სხვადასხვა წყობილება და ამ წყობილებისათვის დამახასიათებელი მოთხოვნილებები

---

<sup>19</sup>მაგალითად ხელშეკრულების ფორმის თავისუფლება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იყო სახელშეკრულებო ურთიერთობის არჩევისას, კანონით მკაცრად განსაზღვრული შემთხვევების გათვალისწინებით ხელშეკრულების ფორმის არჩევა. აღნ. დაკავშ. იხილეთ გ. ლობჟანიძე, რომის სახელმწიფო და სამართალი, ნაწილი II, რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალი, რედ., რომან შენგელია, ქუთ., გამომც., „საგამომცემლო ცენტრი“, 2009, გვ. 291-294

<sup>20</sup> გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2009, გვ. 99

<sup>21</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 36

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> Ch. Heinrich, Formale Freiheit und materiale Gerechtigkeit. Die Grundlagen der Vertragsfreiheit und Vertragskontrolle am Beispiel ausgewählter Probleme des Arbeitsrechts, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2000, 46.

<sup>24</sup> [https://www.demokratiegeschichte.eu/fileadmin/user\\_upload/Material/Grundrechte und Grundpflichten 1919 Material .pdf](https://www.demokratiegeschichte.eu/fileadmin/user_upload/Material/Grundrechte und Grundpflichten 1919 Material .pdf) წვდომის თარიღი 09.06.2020



წარმოშობდნენ. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენდა, რომლისთვისაც ხელშეკრულების თავისუფლების განვითარების ისტორია ოთხ ეტაპად შეიძლება დაიყოს. ესაა ხელშეკრულების თავისუფლება ქართული სამართლის ძეგლებში, ხელშეკრულების თავისუფლება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივ აქტებში, ხელშეკრულების თავისუფლება საბჭოთა საქართველოსა და 1997 წლის შემდგომ პერიოდში.<sup>25</sup>

## 2.2.1 ხელშეკრულების თავისუფლება ქართული სამართლის ძეგლების და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების მიხედვით

ქართული სამართლის ძეგლებში, ხელშეკრულების თავისუფლების გამოვლენის მიმართებით, პირველ რიგში უნდა აღინშნოს რომ თავისუფლების იმგვარი გამოვლინება, როგორც ეს დღევანდელ დღეს არსებობს, პირდაპირი სახით არ გვხვდებოდა, თუმცა მრავლად შეინიშნებოდა თავისუფლების გარკვეული ელემენტები. ხელშეკრულების თავისუფლებასთან კონტექსტში, ასეთ გამოვლინებებად შესაძლებელია მიჩნეულიყო ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება რომლის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებაც, ქართული სამართლის ძეგლებში, გარკვეულ შემთხვევაში გვხვდებოდა.<sup>26</sup> შინაარსის თავისუფლებასთან ერთად, გარკვეული საკანონმდებლო დათქმებით შესაძლებელი იყო აღნიშნული თავისუფლების შეზღუდვაც, რომლის მიხედვითაც სტატუსის ბოროტად გამოყენება სახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალული იყო.<sup>27</sup>

ფორმის თავისუფლება, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების ერთ-ერთი გამოვლინება, შინაარსის თავისუფლებასთან ერთად, ასევე არ იყო უცხო ცნება ქართული სამართლის ძეგლებით განსაზღვრული ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებისათვის, რომლის მიხედვითაც ზოგიერთ შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი იყვნენ თავად განესაზღვრათ თუ რა ფორმით დაედოთ ხელშეკრულება.<sup>28</sup>

<sup>25</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 47

<sup>26</sup> ბ.ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., გამომც. „საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი“, 2005, გვ. 52

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> მაგალითისთვის შესაძლებელია იჯარის ხელშეკრულების განხილვა. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ., ე. ლაფაჩი, იჯარის ხელშეკრულება რომის სამართალსა და ძველ ქართულ სამართალში, როგორც თანამედროვე

ქართული სამართლის მეგლებში ხელშეკრულების თავისუფლების გარკვეული ელემენტების არსებობის მსგავსად, არნიშნული თავისუფლების ზოგიერთ გამოვლინებას შეიცავდა 1918-21 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მიღებული სხვადასხვა სამართლებრივი აქტი.<sup>29</sup> საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 14 აგვისტოს კანონი, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებული იყო შრომით ურთიერთობებში მხარეთა თავისუფლების ფარგლები,<sup>30</sup> წარმოადგენდა იმ პერიოდისათვის არსებული ხელშეკრულების თავისუფლების მნიშვნელოვან სამართლებრივ საფუძველს. აღნიშნული კანონი, შრომით ურთიერთობებში შრომის პირობების განსაზღვრის მხარეთა კომპეტენციის სფეროს მიკუთვნებასთან ერთად, ითვალისწინებდა პირთა შესაძლებლობად დაედოთ ზეპირი ან წერილობითი ხელშეკრულება<sup>31</sup>, რაც ასევე ხელშეკრულების თავისუფლების გამოვლინებას წარმოადგენდა.

## **2.2.2 ხელშეკრულების თავისუფლება საბჭოთა საქართველოსა და დამოუკიდებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღების შემდგომ პერიოდში**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მიღებული საკანონმდებლო აქტები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპისათვის დამახასიათებელი გარკვეული ელემენტების აღმოჩენა, საფუძველს ქმნიდნენ იმისთვის რომ აღნიშნული ინსტიტუტი მნიშვნელოვნად განვითარებულიყო და ფეხი აემა კონტინენტური ევროპის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ნორმატიული განვითარების ტენდენციებისათვის, თუმცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაშლისა და ქვეყნის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლამ აღნიშნული ტემპები სულ მცირე 70 წლით შეამცირა.

საბჭოთა კავშირისათვის დამახასიათებელი სოციალისტური წყობის პირობებში, სადაც საბაზრო მეურნეობის პრინციპები ვერ რეალიზდებოდნენ, ეკონომიკის განვითარების უმთავრეს

---

იჯარის ხელშეკრულების ისტორიული წინაპარი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ 2012, №2(33)12, თბ., 2012, გვ. 47

<sup>29</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 49

<sup>30</sup> საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 14 აგვისტოს კანონი

<sup>31</sup> საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 14 აგვისტოს კანონი, მესამე თავის, მუხლი 10

წყაროდ გეგმური მეურნეობის განვითარების განხილვა, მნიშვნელოვანწილად აკნინებდა ხელშეკრულების სოციალურ ფუნქციას და პრაქტიკული თვალსაზრისით გამორიცხავდა მისი თავისუფლების რეალიზების შესაძლებლობას.

გეგმიური მეურნეობის პირობებში, ხელშეკრულების თავისუფლების რეალიზებისათვის აუცილებელი კომპონენტი-თავისუფლი ნების სახით, მიმართული იყო გეგმის გამართულად და სწორად ფუნქციონირებისაკენ, რაც ხელშეკრულებას ბუნებრივად აქცევდა სახელმწიფოს ეკონომიკური გეგმის შესრულების მექანიზმად, სადაც ნების ავტონომიაზე დაფუძნებულ ურთიერთებს ადგილი ვერ ექნებოდა.<sup>32/33</sup> მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების თავისუფლებისათვის დამახასიათებელ ძირითად პრინციპებს, საბჭოთა კავშირის პერიოდში მოქმედი სამოქალაქო კოდექსი შეიცავდა,<sup>34</sup> ქვეყანაში არსებული წყობილების, იდეოლოგიური ფაქტორებისა და ხელშეკრულების მიმართ დამკვიდრებული არასწორი მიდგომების გათვალისწინებით, ხელშეკრულების თავისუფლებას, კლასიკური გაგებით, საბჭოთა საქართველოში ადგილი არ ჰქონია.<sup>35</sup>

ხელშეკრულების თავისუფლებას, საკანონმდებლო საფუძვლების განმტკიცებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ფაქტორივი გამოხატულების შესაძლებლობა მიეცა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გასვლისა და 1997 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღების შემდგომ, რომელშიც ასახულ იქნა ევროპული სამართლებრივი ტრადიციების გამოცდილება.<sup>36</sup> საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლის შედეგად ქონებრივი სიკეთეების მიმართ ქვეყნის მოსახლეობაში გაზრდილი ინტერესის, მეწარმეობის განვითარებისა და დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით, ხელშეკრულების თავისუფლებამ ქმედითი გამოხატულება ჰპოვა ქართული რეალობისათვის დამახასიათებელ ყოველდღიურობაში, რის შედეგადაც ხელშეკრულების თავისუფლება კერძო სამართლი უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა.<sup>37</sup>

---

<sup>32</sup> M. Pellegrino, Postkommunismus und Zivilrecht, das Obligationenrecht Georgiens, Europaischer Verlag der Wissenschaften, Frankfurt am Main, Peter Lang, 1997, seite 116

<sup>33</sup>H. Oda, Russian Commercial Law, Second Edition, Leiden, Martinus Nijhoff Publishers, 2007, pag. 272

<sup>34</sup> მაგ. სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლით სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები შეიძლება დაფუძნებოდა გარიგებას, რომელიც პირდაპირ არ იყო გათვალისწინებული კანონით თუმცა არ ეწინააღმდეგებოდა მას

<sup>35</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 51-52

<sup>36</sup> იქვე, გვ. 53

<sup>37</sup> ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომცემლობა „სამართალი“, 2011, გვ. 17

### თავი III. ხელშეკრულების თავისუფლება

საბაზრო ეკონომიკის პრინციპების სამოქალაქო საზოგადოების ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად დანერგვის შემდგომ, სახელშეკრულებო ურთიერთობებს განსაკუთრებული სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა მიენიჭათ. სახელშეკრულებო სამართალი, როგორც თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების წინაპირობა,<sup>38</sup> მხარეთა ურთიერთობასა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპებზეა აგებული,<sup>39</sup> რომლის საფუძვლადაც შესაძლებელი ხდება პიროვნების მიერ გამოვლენილი ნების რეალიზაცია.<sup>40</sup> ხელშეკრულებას, როგორც სოციალური სიკეთისა და მატერიალური დოვლათის გადანაწილების უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს,<sup>41</sup> მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის ყოველდღიურობაში, ასევე სამართლებრივ სივრცეში, რაც არსებითად განსაზღვრავს კიდევ ამ უკანასკნელის ქმედითობასა და გამოყენებადობას რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. ხელშეკრულება, როგორც მხარეთა მიერ მიღწეული კონსენსუსის შედეგი, სამართლებრივი თვალსაზრისით იწვევს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას მათივე ნების საფუძველზე.<sup>42</sup> აღნიშნული განმარტებიდან ნათელია, რომ ხელშეკრულება, როგორც სოციალური ურთიერთობების განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, არსებითადაა დამოკიდებული როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობის სუბიექტთათვის გარანტირებულ ძირითად უფლებებსა და ამ უფლებების რეალიზაციის შედეგად სამოქალაქო სამართლებრივი მოქმედებების თავისუფლად განხორციელებაზე, ასევე იმ კონკრეტულ ღირებულებებზე, რომლებიც კერძო სამართლის ფუნდამენტად გვევლინებიან. ლადო ჭანტურია კერძო სამართლის საფუძვლების განხილვისას განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალი, როგორც ნორმათა არა მექანიკური, არამედ ლოგიკური და ფასეულობითი ერთობლიობა, ემყარება და განამტკიცებს კონკრეტულ ღირებულებებს, რომლებიც ქმნიან კერძო სამართლის ფუნდამენტს.<sup>43</sup> სწორედ ამ ტიპის ღირებულებადაა მიჩნეული და საკანონმდებლო დონეზე განმტკიცებული

<sup>38</sup> E. Younkins, Freedom of Contract, Liberty Free Press, June 15, 2010; <http://www.quebecoislibre.org/younkins25.html> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული-27.05.2020

<sup>39</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის No:ას-1359-1197-2010 განჩინება

<sup>40</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 60

<sup>41</sup> ზ. ძლიერუშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი (სახელშეკრულებო სამართალი სკოლებისთვის) თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 50

<sup>42</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის No:ას-1144-1090-2014 გადაწყვეტილება;

<sup>43</sup> ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2011, გვ. 82

ხელშეკრულების თავისუფლების ინსტიტუტი სამოქალაქო სამართალში, რომელიც სამოქალაქო ბრუნვის განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.<sup>44</sup>

### 3.1. ხელშეკრულების თავისუფლების ცნება, მნიშვნელობა და სამოქალაქოსამართლებრივი საფუძველი

ხელშეკრულების თავისუფლების, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი წინაპირობის განვითარება, მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული მის თავისუფალ საბაზრო ეკონომიკის უმთავრეს საფუძვლად განხილვასთან,<sup>45</sup> რამაც საბოლოოდ ასახვა ჰპოვა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში იმ სახით, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა სახელშეკრულებო ურთიერთობებში ქმედების თავისუფლად განხორციელება კანონის ფარგლებში.<sup>46</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, კერძო სამართლის სუბიექტებს კანონის ფარგლებში შეუძლიათ თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განაზღვრონ ამ ხელშეკრულებების შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთ ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მათ<sup>47</sup>. განსახილველი მუხლის ნორმატიული შინაარსის ანალიზი ცხადყოფს, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, რომლის გარეშეც თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის წარმოდგენა შეუძლებელია,<sup>48</sup> წარმოადგენს სამოქალაქო სამართალსუბიექტის უფლებას, დადოს მისთვის მისაღები ხელშეკრულებები და საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ მისი შინაარსი იმ დათქმით, რომ ეს უკანასკნელი წინააღმდეგობაში არ მოვა კანონის მოთხოვნებთან, რაც თავის

---

<sup>44</sup>E. Younkings, Freedom of Contract, Liberty Free Press, June 15, 2010; <http://www.quebecoislibre.org/younkings25.html>  
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული-27.05.2020

<sup>45</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 34

<sup>46</sup> ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე, თ. ნინიძე, რ. შენგელია, ჯ. ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001, გვ. 60-61

<sup>47</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მუხლი 319

<sup>48</sup> ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი (სახელშეკრულებო სამართალი სკოლებისთვის) თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 55

მხრივ არსებით კავშირშია კერძო სამართლის უმნიშვნელოვანეს პოსტულატთან, რომელსაც მხარეთა კერძო ავტონომია ეწოდება.<sup>49</sup>

### 3.2 კერძო ავტონომია როგორც ხელშეკრულების თავისუფლების საფუძველი

სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება, რომლის სამართლებრივ საფუძვლადაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით განმტკიცებული სამართალურთიერთობის მონაწილე პირთა კერძო ავტონომიის პრინციპი გვევლინება<sup>50</sup>.

განსახილველი პრინციპი, როგორც ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის განხორციელების საფუძველი,<sup>51</sup> ეკონომიკური წინსვლისა და კეთილდღეობის განმაპირობებელ მნიშვნელოვან გარანტორად გვევლინება<sup>52</sup> და განიმარტება როგორც კონკრეტულ პირთათვის სამართლით მინიჭებული და უზრუნველყოფილი შესაძლებლობა, ერთმანეთს შორის ურთიერთობა განსაზღვრულ ფარგლებში მოაწესრიგონ.<sup>53</sup> აღნიშნული უფლება, რომელიც სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილე პირთათვის საკუთარი სურვილებისა და მისწრაფებების სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევისგან დამოუკუდებლად, გარკვეული სამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა, იურიდიულ ლიტერატურაში განიხილება როგორც ხელშეკრულების თავისუფლების პრაქტიკული რეალიზაციისათვის აუცილებელი კერძო სამართლებრივი პრინციპი, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს სახელშეკრულებო ურთიერთობებზე და მის უმთავრეს საფუძვლად გვევლინება.<sup>54</sup>

კერძო ავტონომიის მიზანი, საბაზრო ეკონომიკის პირობებში უზრუნველყოს სამართალსუბიექტთა ეკონომიკური კეთილდღეობისა და წინსვლის ხელშეწყობა, გლობალიზაციის პირობებში გაჩენილი მრავალმხივი სურვილებისა და საჭიროებების

<sup>49</sup> ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი (სახელშეკრულებო სამართალი სკოლებისთვის) თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 55

<sup>50</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მუხლი 10

<sup>51</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 62

<sup>52</sup> საქართველოს უზენაესის სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის No:ას-744-2019 განჩინება;

<sup>53</sup> ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2011, გვ. 90

<sup>54</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 62

დაკმაყოფილებისათვის სამართლებრივი ბერკეტების მიცემის გზით, გამოხატულებას უმთავრესად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განმტკიცებულ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპში ჰპოვებს<sup>55</sup>, რომელიც ხელშეკრულების ხელშემკვრელი პირებისთვის მათთვის სასურველი პირობის სამართლებრივად განსაზღვრის შესაძლებლობით, მოქმედების ფართო არეალით უზრუნველყოფს სამოქალაქო უფლებების განხორციელებისას.

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის არსებობა თავის მხრივ აზრს მოკლებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი მისი უფლების მატარებელი პირები ვერ შეძლებდნენ საკუთარი უფლებით სარგებლობას, რომლის რეალიზაციის შესაძლებლობაც მის მონაწილეებს სწორედ კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე გააჩნიათ.<sup>56</sup>

### 3.3. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მნიშვნელობა

ხელშეკრულების თავისუფლება, როგორც თავისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი გამოვლინება,<sup>57</sup> სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს. აღნიშნული პრინციპის საფუძველზე, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირი საკუთარი მოთხოვნილებებისა და სურვილების შესაბამისად, გამოვლენილი ნების საფუძველზე, დამოუკიდებლად განსაზღვრავს მოქმედების წესსა და სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსს.<sup>58</sup>

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი საკუთარ თავში სამ ურთიერთდაკავშირებულ კონცეფციას მოიცავს, რომელთაგანაც პირველი, რომელსაც პოზიტიური კონცეფცია შეგვიძლია ვუწოდოთ, წარმოადგენს სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტთა უფლებას გააკეთონ არჩევანი ხელშეკრულებასა და ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე.<sup>59</sup> აღნიშნული უფლება, სახელშეკრულებო ურთიერთობებში სახელმწიფოს ჩარევის მაქსიმალურად აკრძალვის

<sup>55</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მუხლი 319

<sup>56</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 64

<sup>57</sup> ბ.ზოიძე, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, თბ., გამომც. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ. 57

<sup>58</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 88

<sup>59</sup> ი. შენგელია, სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2009, ნომ. 4, გვ. 45

ნეგატიურ კონცეფციისა და პირის უფლებასთან ერთად, მოითხოვოს სახელმწიფო ხელისუფლებისაგან მის მიერ დადებული ხელშეკრულების შესრულება,<sup>60</sup> არსებითად განსაზღვრავენ ხელშეკრულების თავისუფლების არსს და სამართლებრი მნიშვნელობას სამოქალაქო ბრუნვის განვითარებისა და გაჯანსაღების ხელშეწყობის ჭრილში.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლისა და მასშტაბური გლობალიზაციის შედეგად წარმოქმნილი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტთა გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, სამართლებრივი საფუძვლისა და დაცვის უზრუნველყოფა, შეუძლებელი იქნებოდა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მკაცრად განსაზღვრული ნორმატიული წესრიგით, სადაც ადგილი არ ექნებოდა პიროვნების ნების გამოვლენასა და აღნიშნული ნების გამოვლენის საფუძველზე კონკრეტული ქმედების განხორციელებას. მოცემულობა, რომლის მიხედვითაც დღითიდღე იზრდება ისეთი ხელშეკრულებების რაოდენობა, რომლებიც, პრაქტიკულად შეუძლებელია განეკუთვნებოდეს კლასიკურ ხელშეკრულებებს,<sup>61</sup> სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის საფუძველზე ნებისმიერი კანონით პირდაპირ აუკრძალავი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა, არსებით მნიშვნელობას იძენს საბაზრო ეკონომიკის განვითარებათვის, რამეთუ სამოქალაქო ბრუნვის გამსხვილება სწორედ რომ სახელშეკრულებო ურთიერთობების განვითარებაზეა დამოკიდებული.<sup>62</sup>

### 3.4. ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები

ხელშეკრულების თავისუფლება, როგორც სამართლებრივი საშუალება-მხარეებს, მათივე ნების რეალიზაციის განსახორციელებლად, იურიდიული დოკუმენტის შემუშავების გზით მინიჭებოდათ უფლებამოსილების განსაზღვრის შესაძლებლობა,<sup>63</sup> ქართულ კანონმდებლობაში განმტკიცებული ნორმატიული რეგულირების თვალსაზრისით, ორი ძირითადი კომპონენტიგან შედგება. პირველი ესაა ხელშეკრულების დადების თავისუფლება, რაც თავის თავში გულისხმობს

<sup>60</sup> ი. შენგელია, სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2009, ნომ. 4, გვ. 45

<sup>61</sup> ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე, თ. ნინიძე, რ. შენგელია, ჯ. ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მესამე, თბ., გამომც. :სამართალი“, 2001, გვ. 59

<sup>62</sup> ი. შენგელია, სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, მართლმსაჯულება და კანონი, 2009, ნომ. 4, გვ. 46

<sup>63</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 60



სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირის შესაძლებლობას დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება, კანონით განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევების გარდა. მეორე კი უფლებას, დამოუკიდებლად განსაზღვროს ხელშეკრულების შინაარსი.

### **3.4.1. ხელშეკრულების დადების თავისუფლება**

სამოქალაქო კანონმდებლობით აღიარებული კერძო ავტონომიისა და სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტის თავისუფლების უმთავრეს გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ პირის უფლება ხელშეკრულების დადებაზე. აღნიშნული უფლება გულისხმობს შესაძლებლობას, საკუთარი ნებისა და მიზნების შესაბამისად, პირმა, დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება.

შესაძლებლობა, რომლის მიხედვითაც, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, პირი უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა-არშესვლის საკითხი, სასიცოცხლოდ აუცილებელია სახელშეკრულებო ურთიერთობის განვითარებისათვის და დიდწილად განსაზღვრავს აღნიშნული ურთიერთობების სამართლიან წარმართვას, იმ პირობებში, როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე თითოეული მხარე ნებაყოფლობით და რაც მთავარია საკუთარი სურვილების შესაბამისად განსაზღვრავს როგორც აღნიშნული ურთიერთობის საჭიროებას, ასევე სამართლებრივი ურთიერთობის კონტრაქტს.

ხელშეკრულების დადების თავისუფლება, არჩევანის თავისუფლებასთან ერთად, პირმა დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება, საკუთარ თავში კონტრაქტის არჩევის თავისუფლებასაც მოიცავს.

#### **3.4.1.1 კონტრაქტის არჩევის თავისუფლება, როგორც ხელშეკრულების დადების თავისუფლების გამოვლინება**

სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლის მიზნით, პირისათვის ხელშეკრულების დადების თავისუფლების მინიჭება მხოლოდ იმ ფორმით, რომ ამ უკანასკნელს მხოლოდ სამართალურთიერთობაში შესვლა-არშესვლის მიმართ ექნებოდა თავისუფალი არჩევანის უფლება, აზრს მოკლებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი პირი ვერ შეძლებდა აღნიშნული ურთიერთობის კონტრაქტის თავისუფლად განსაზღვრას საკუთარი სურვილებიდან და

საჭიროებებიდან გამომდინარე. კონტრაქტის არჩევის თავისუფლების გარეშე, ხელშეკრულების დადების თავისუფლება, გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა, კერძო ავტონომიის გაუმართლებელ შეზღუდვად წარმოგვიდგებოდა, რაც სახელშეკრულებო ურთიერთობებში პიროვნული დამოკიდებულებების მნიშვნელოვანი გავლენის გათვალისწინებით, არსებითად შეზღუდავდა როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის, ასევე სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ტენდენციებს.

### 3.4.2. ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მეორე ელემენტად ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება გვევლინება. აღნიშნული უფლება, გულისხმობს პირთა შესაძლებლობას, ხელშეკრულებით გაითვალისწინონ ნებისმიერი საკითხი, რომელიც კანონით არ არის აკრძალული.<sup>64</sup>

საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და სამოქალაქო ურთიერთობების გამრავალფეროვნების გათვალისწინებით, პრაქტიკულად შეუძლებელია ყველა იმ სამართლებრივი ურთიერთობის დეტალური ნორმატიული მოწესრიგება, რომელიც შესაძლებლობს მოგვეცმდა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მაქსიმალურად მომხდარიყო პირთა საჭიროებების ამომწურავად დაკმაყოფილება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირის უფლება, დამოუკიდებლად მოაწესრიგოს და განსაზღვროს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური საკითხები კონტრაქტთან ურთიერთობისას ხელშეკრულების გზით, მნიშვნელოვნად ზრდის სუბიექტთა შესაძლებლობას საკუთარი კერძო ინტერესები ეფექტურად დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლების უფლების გამოვლინებად, ნებისმიერი კანონით აუკრძალავი საკითხის დამოუკიდებლად განსაზღვრასთან ერთად, უნდა განვიხილოთ თავისუფლების ისეთი გამოვლინებები, როგორცაა ხელშეკრულების ფორმისა და ტიპის არჩევის თავისუფლება.<sup>65</sup>

<sup>64</sup> ი. ბურდული და „სხვები“, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, რედ. ლ.ჭანტურია, თბ., 2017, გვ. 58

<sup>65</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 103

### 3.4.2.1. ხელშეკრულების ფორმის თავისუფლება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს ხელშეკრულების ფორმის თავისუფლების პრინციპს, კანონით ზუსტად განსაზღვრლი შემთხვევების გარდა,<sup>66</sup> რომლის მიხედვითაც მხარეები თავად არიან უფლებამოსილნი შეთანხმდნენ ხელშეკრულების ფორმაზე. აღნიშნული პრინციპის სამართლებრივ საფუძვლად კი თავის მხრივ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 328-ე და 69-ე მუხლები გვევლინებიან.<sup>67</sup>

ხელშეკრულებაზე, როგორც გარიგების ფაქტობრივ გამოვლინებაზე, სამართლებრივი თვალსაზრისით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები გარიგებათა შესახებ, რომლებიც ზოგადი პრინციპების განსაზღვრასთან ერთად განსაზღვრავენ მხარეთა თავისუფლების ფარგლებს სახელშეკრულებო ურთიერთობებისას. ხელშეკრულების მონაწილე პირთა უფლება, კანონით პირდაპირ აუკრძალავი შემთხვევების გარდა, თავად განსაზღვრონ ხელშეკრულების ფორმა, იქნება ეს წერილობითი თუ ზეპირი, წარმოადგენს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ქმედით გამოვლინებას პირთა კერძო ავტონომიის რეალიზაციის საფუძველზე.

### 3.4.2.2 ხელშეკრულების ტიპის თავისუფლება

სახელშეკრულებო ურთიერთობებში, ხელშეკრულების ფორმის დამოუკიდებლად განსაზღვრასთან ერთად, სამართალურთიერთობის მონაწილე მხარის მნიშვნელოვან შესაძლებლობად უნდა განვიხილოთ უფლება, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი შეზღუდული არ არის საკუთარი მიზნების რეალიზაციის პროცესში სამოქალაქო კოდექსის კერძო ნაწილის პირველი კარის პირველი ნაწილით განსაზღვრული ხელშეკრულებების ტიპებით. განსახილველი თავისუფლება, მხარეს შესაძლებლობას აძლევს გარდა კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულებებისა, დადოს იმგვარი ტიპის ხელშეკრულებებიც, რომელთა ზუსტი ნორმატიული მოწესრიგებაც კანონმდებლობაში არ მოიპოვება, თუმცა უზრუნველყოფს

<sup>66</sup> ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე, თ. ნინიძე, რ. შენგელია, ჯ. ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001, გვ. 103

<sup>67</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მუხლი 328, 69

ურთიერთობის მონაწილე პირების ნების ჯეროვან რეალიზაციას იმ დათქმით, რომ აღნიშნული წინააღმდეგობაში არ მოვა კანონის იმპერატიულ მოთხოვნებთან.

ხელშეკრულების ტიპის თავისუფლების უფლების რეალიზაციის შედეგად შესაძლებელია განვიხილოთ შერეული ტიპის ხელშეკრულებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ერთი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მხარეთა სხვადასხვა ტიპის ინტერესების რეალიზაცია. აღნიშნული შესაძლებლობა, შეუძლებელი იქნებოდა მხოლოდ კანონმდებლის მიერ მკაცრად გვანსაზღვრული ხელშეკრულების ტიპების გამოყენების შემთხვევაში, რაც ისევე როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის ნებისმიერი გაუმართლებელი შეზღუდვა, არსებითად დააზარალებდა როგორც სამართებრივ ინსტიტუტს, ასევე მის საფუძვლად განვითარებულ სოციალურ ურთიერთობებს.

### 3.5 ოფერტისა და აქცეპტის თავისუფლება სახელშეკრულებო თავისუფლების ქრილში

ხელშეკრულება, როგორც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირთა მიერ გამოვლენილი თავისუფლების ერთ-ერთი გამოხატულება, იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული განმარტების მიხედვით, წარმოადგენს „მინიმუმ ორი მხარის ნებათა თანხვედრის (კონსენსუსის) ლოგიკურ შედეგს“,<sup>68</sup> რომელიც გარკვეული სამართებრივი შედეგების მომტანია მისი მონაწილე თითოეული პირისათვის.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი შედეგის დადგომაში, რომლის მატერიალურ საფუძვლადაც მხარეთა მიერ დადებული ხელშეკრულება გვევლინება, არსებით მნიშვნელობა ენიჭება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე პირთა მიერ თავისუფალი ნების გამოვლენას, რომელიც სახელშეკრულებო ოფერტსა და აქცეპტში გამოიხატება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 329-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ოფერტი ეს არის წინადადება ხელშეკრულების დადების შესახებ გაკეთებული ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ, რომელიც სამართლებრივი ბუნებით მიღებასავალდებულო ნების გამოვლენად განიხილება<sup>69</sup> და მიმართულია ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისაკენ, ხოლო აქცეპტი, თავის მხრივ განიხილება როგორც თანხმობა

<sup>68</sup> ზ. ძლიერუშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი (სახელშეკრულებო სამართალი სკოლებისთვის) თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 107

<sup>69</sup> იქვე, გვ. 116

წარმოდგენილ ოფერტზე, რომელსაც, ისევე როგორც ოფერტს, საკვანძო როლი უჭირავს კერძოსამართლებრივი სუბიექტის მიერ სახელშეკრულებო თავისუფლების რეალიზაციის თვალსაზრისით.

„ოფერტისა და აქცეპტის თავისუფლება ხელშეკრულების თავისუფლების უმთავრეს საყრდენს წარმოადგენს“,<sup>70</sup> რაც პირდაპირაა კავშირში კერძოსამართლებრივი სუბიექტის ნების ავტონომიასთან. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპში რეალიზებული ნების ავტონომია, როგორც თავისუფალი სამართლებრივი ურთიერთობების განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ბერკეტი, არსებითად შეიზღუდებოდა ქმედითი შესაძლებლობების გარეშე, რეალიზებულიყო ყოფით ურთიერთობებში, რომელიც თავის მხრივ ოფერტისა და აქცეპტის ბუნებაშია წარმოდგენილი.

ოფერტის თავისუფლება, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მინაწილე პირმა განახორციელოს ნებისმიერი კანონით აუკრძალავი შეთავაზება სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარების მიზნით,<sup>71</sup> პირის უფლებასთან ერთად, დაეთანხმოს, უარყოს ან პირველადი შეთავაზების უარყოფით განახორციელოს ახალი შეთავაზება, მთლიანადაა განპირობებული კანონით მიერ განსაზღვრული კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირის თავისუფლებით და ექცევა კერძო ავტონომიისა და სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპით გათვალისწინებულ განმარტებაში.

### 3.6. შუალედური შეჯამება

თავისუფლება, როგორც მიზანი,<sup>72</sup> რეალიზაციის თვალსაზრისით, საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებთან ერთად, საკვანძო როლს თამაშობს კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ჭრილში ქმედების განხორციელების დროსაც, რისთვისაც მნიშვნელოვანია ისეთი კერძოსამართლებრივი ბერკეტების არსებობა, რომლებიც აღნიშნული უფლების ფაქტობრივი გამოვლინების შესაძლებლობას მოგვცემს.

ხელშეკრულების თავისუფლებას, როგორც პირის თავისუფლების ფაქტობრივ გამოვლენას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და

<sup>70</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 72

<sup>71</sup> იქვე, გვ. 71

<sup>72</sup> ი. ბურდული და „სხვები“, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი თავი მეორე საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., გამომც. შპს „პეტიტი“, 2013, გვ. 87

განვითარებაში. თავისუფლების, როგორც სამართლებრივი პრინციპის დანერგვითა და ინდივიდისათვის მოქმედების შეზღუდულად შეუზღუდავი არეალის მიცემით, კანონმდებელი შეეცადა საზოგადოების კერძოსამართლებრივი ურთიერთობებისათვის სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრასთან ერთად<sup>73</sup>, უზრუნველყო პირთა კერძო ინტერესების მაქსიმალურად რეალიზების შესაძლებლობა, რისთვისაც კერძო სამართალურთიერთობის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოყალიბება უშუალოდ ურთიერთობის მონაწილე პირთა ნებას მიანდო, იმ დათქმით, რომ აღნიშნული თავისუფლება არ იქნებოდა აბსოლუტური და მასში გათვალისწინებულ იქნებოდა ურთიერთობის თითოეული მხარის სამართლებრივი ინტერესი კანონმდებლობით განსაზღვრული ზოგადი პრინციპებისა და მიზნების გათვალისწინებით.<sup>74</sup>

ხელშეკრულების თავისუფლება, როგორც სამართლებრივი პრინციპი, რომლის მეშვეობითაც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ საკუთარი მიზნებისა და ინტერესების დაკმაყოფილების გზებს, როგორც მრავალკომპონენტური შესაძლებლობა, გამოხატულებას ჰპოვებს კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მნიშვნელოვან ნაწილში, რითაც უზრუნველყოფს როგორც მრავალფეროვანი სამოქალაქო ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და მათთვის სამართლებრივი საფუძვლის მინიჭებას, ასევე ეკონომიკური კეთილდღეობისა და მთლიანად სამოქალაქო ბრუნვის ზრდას, კანონით განსაზღვრული თავისუფლების ფარგლებში.

---

<sup>73</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 60

<sup>74</sup> მ. მესხიშვილი, ხელშეკრულების პირობითი დაყოფა ტიპებად, დოქტორანტთა კვლევითი კომპონენტი, 2015. გვ. 38-40. [https://newvision.ge/sites/default/files/2.xelshkrulebebis\\_pirobiti\\_daqopa\\_tipebad.pdf](https://newvision.ge/sites/default/files/2.xelshkrulebebis_pirobiti_daqopa_tipebad.pdf) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 30.05.2020

## თავი IV. ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა

თავისუფლება, როგორც ბუნებითი უფლების გამოხატულება, საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების თითოეულ ნაბიჯზე გვხვდება, რომლის არსებობისა და დაცვის გარეშეც, შეუძლებელი იქნებოდა სოციალური სახელმწიფოს არსებობა,<sup>75</sup> თუმცა აღნიშნული არ უნდა იქნას გაგებული ისე, როგორც აბსოლუტური ხასიათის უფლება, განახორციელო ნებისმიერი მოქმედება, ნებისმიერი ფარგლებით.

აღნიშნულის მტკიცების შესაძლებლობას გვაძლევს მოცემულობა, რომლის მიხედვითაც თავისუფლების საფუძვლად კანონი გვევლინება,<sup>76</sup> რომელიც თავის მხრივ „კონკრეტული ქმედების შეზღუდვის არეალის განმსაზღვრელია“.<sup>77</sup> შარლ მონტესკიე, თავისუფლებას განიხილავდა როგორც უფლებას აკეთო ის, რაც დასაშვებია კანონით,<sup>78</sup> რომლის ფარგლებიც საზოგადოების განვითარებისა და მისი მოთხოვნილებების ცვლილებებთან ერთად იცვლებოდა და ვითარდებოდა.<sup>79</sup> შესაბამისად, კაცობრიობის განვითარებასთან ერთად გაზრდილ თავისუფლების ფაქტობრივი გამოვილების შესაძლებლობასთან ერთად, იზრდებოდა თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივი წინაპირობებიც, რაც უმთავრესად საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობდა.<sup>80</sup>

კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, სადაც პირთა თავისუფლების საფუძვლად განსაზღვრული ნების ავტონომიის ხარჯზე, გამოვლენილი ნებისათვის სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრის შესაძლებლობის გზით, ხდება მრავალი კერძო საჭიროების დაკმაყოფილება, თავისუფლებასთან ერთად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თავისუფლების გამართლებული შეზღუდვისათვის აუცილებელ სამართლებრივ ნორმებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება სამართალურთიერთობის თითოეული მონაწილის ინტერესების დაცვა.

თავისუფლების შეზღუდვისათვის ზემოაღნიშნული მნიშვნელობის მინიჭება განპირობებულია ზოგადი დათქმიდან, რომლის მიხედვითაც პირს თავისუფლად მოქმედების

<sup>75</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს No. 1/2/434 გადაწყვეტილება

<sup>76</sup> Д. Ллойд, Идея Права, Перевод с английского, М. А. Юмашева, Ю. А. Юмашев, М. Югона, Москва 2002, 158.

<sup>77</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 83

<sup>78</sup> შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, „რედ“. ნ. ნათაძე, ო. ჯოიევი, „მთარგმნ“. დ. ლაბუჩიძე, თბ. გამომც. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 1994, გვ. 180

<sup>79</sup> L. M. Friedman, Law in America, a Short History, New York. Edit. Modern Library, 2004, pag. 38

<sup>80</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 85

შესაძლებლობა აქვს იქამდე, სანამ ამით იგი არ შელახას სხვა პირის თავისუფლებას.<sup>81</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლები, რომელთა მიხედვითაც განსაზღვრულია სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილე პირის თავისუფლება, და რომელთა დაკონკრეტებაც სახელმწიფოებო ურთიერთობებში 319-ე მუხლით ხდება, პირის უფლებასთან ერთად, სამოქალაქო თავისუფლების გამოვლენის ხარჯზე განახორციელოს სამოქალაქო უფლება სახელმწიფოებო ურთიერთობებისას, იმავდროულად განსაზღვრავენ აღნიშნული თავისუფლების ფარგლებს და უფლების შეზღუდვის ძირითად მახასიათებლებს სამოქალაქოსამართლებრივ პრინციპებსა და იმპერატიულ ნორმებზე მითითების გზით.

#### 4.1. ხელმწიფოების თავისუფლების შეზღუდვა სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის საფუძველზე

ხელმწიფოებით თავისუფლების შეზღუდვის მნიშვნელოვანი ნორმატიული საფუძველია უშუალოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი, რომელიც აღნიშნული პრინციპის განმტკიცების პარალელურად, განსაზღვრავს ხელმწიფოების თავისუფლების შეზღუდვის კონკრეტულ შემთხვევებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის მესამე წინადადების მიხედვით, „თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელმწიფოების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით.“<sup>82</sup> კანონში არსებული ჩანაწერი, რომელიც თანამედროვე მართლწესრიგისათვის დამახასიათებელ, რიგ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობით განპირობებულ ნორმატიულ მოწესრიგებად შეიძლება შეფასდეს,<sup>83</sup> მიზნად ისახავს უფრო მაღალი ღირებულების მქონე ფასეულობის დაცვას და ამისათვის სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობის მინაწილე პირთა ნების გამოვლენის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას.

<sup>81</sup> დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესის სისტემური ცნებები, თბ., გამომც. „ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი“ 2009, გვ. 9

<sup>82</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მუხლი 319

<sup>83</sup> ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე, თ. ნინიძე, რ. შენგელია, ჯ. ხეცურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მესამე, თბ., გამომც. :სამართალი“, 2001, გვ. 62



მაგალითისთვის შესაძლებელია განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც კერძოსამართლებრივი ურთერთობის ფარგლებში ხდება ცეცხლსასროლი იარაღის ყიდვა-გაყიდვა. აღნიშნულ ურთერთობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული, ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმების პარალელურად, ვრცელდება „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დებულებებიც, რომელთა მიხედვითაც განსახილველი ქმედების განხორციელებისათვის აუცილებელია შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურის ნებართვა.<sup>84</sup>

ხელშეკრულების თავისუფლების ამგვარი შეზღუდვა, როგორც უკვე აღინიშნა, ემსახურება პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, სამოქალაქო ბრუნვის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის გზით, თუმცა დავა იმასთან დაკავშირებით, რამდენად საჭიროებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი ამგვარი ჩანაწერის არსებობას შესაძლებელია.

გარიგების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმა, რომლებიც გარიგების ბათილობას კანონსაწინააღმდეგო ხასიათიდან გამომდინარე ითვალისწინებს, და რომელიც შემდგომში იქნება განხილული, იმპერატიულად განსაზღვრავს მხარის ვალდებულებას, სახელშეკრულებო ურთიერთობაში ნების გამოვლენისას გაითვალისწინოს კანონმდებლობის მოთხოვნები. იმ პირობებში, როდესაც ამა თუ იმ ურთიერთობას ცალკე კანონი აწესრიგებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი სრულებით უზრუნველყოფს თავისუფლების შეზღუდვის იმგვარ მიზნებს, როგორც ეს კოდექსის 319-ე მუხლით არის გათვალისწინებული.

#### 4.1.1 კონტრაქტის იძულება როგორც ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი

სახელმწიფოს მიერ გაცემული სპეციალური ნებართვების საფუძველზე, ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობასთან ერთად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიცავს ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის სხვა საფუძველებსაც<sup>85</sup>, რომელთაც იურიდიულ ლიტერატურაში „კონტრაქტის იძულების“ სახელით მოიხსენიებენ. იძულების ამგვარი ფორმა, „საბაზრო ეკონომიკის კორექტივს“ წარმოადგენს და მიზნად ისახავს იმ პირთა უფლებების დაცვას, რომლებიც შესაძლოა შეილახოს ბაზარზე გაბატონებული მხარის მიერ.<sup>86</sup>

<sup>84</sup> საქართველოს კანონი იარაღის შესახებ, თბ., 2003

<sup>85</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მუხლი 319. მე-2 და მე-3 ნაწილი

<sup>86</sup> ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე, თ. ნინიძე, რ. შენგელია, ჯ. ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მესამე, თბ., გამომც. :სამართალი“, 2001, გვ. 63

„კონტრაქტის იძულება“, როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის უმნიშვნელოვანესი საფუძველი, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით განიმარტება როგორც: „სამართლებრივი ნორმის საფუძველზე განსაზღვრულ ან განუსაზღვრელ პირთან ხელშეკრულების დადება, რომლითაც ფორმირდება მხარის ნება. ეს სამართლებრივი ნორმა კი, თავის მხრივ, ბაზარზე გაბატონებული სტატუსის მქონე პირისთვის ხელშეკრულების დადების ვალდებულებას განსაზღვრავს.“<sup>87</sup>

განსახილველი ნორმის მიხედვით, ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის მქონე პირებს, შეზღუდული აქვთ კონტრაქტის არჩევის თავისუფლება და კანონმდებლის მოთხოვნების შესაბამისად, იძულებულნი არიან მომხმარებელთან დადონ ხელშეკრულება. თავის მხრივ, მომხმარებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ამგვარი პირისაგან ხელშეკრულების დადება.<sup>88</sup>

აღნიშნული არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, თითქოს „კონტრაქტის იძულების“ დროს ხელშეკრულების დადება არ წარმოადგენს მხარეთა ინტერესს საკუთარი სურვილების რეალიზაციის პროცესში. აღნიშნული ინტერესი ნებისმიერ შემთხვევაში გათვალისწინებულია. ხელშეკრულების დადების კლასიკური შემთხვევებისგან, „კონტრაქტის იძულების“ დროს სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას გამოვლენილი ნება ხასიათდება იმ განსხვავებით, რომ „კონტრაქტის იძულებისას ბაზარზე გაბატონებული სტატუსის მქონე პირის სურვილი (ნება) პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ მისი საქმიანობის დაწყების მომენტიდანვე გამოვლენილი, რაც მას ხელშეკრულების დადების ვალდებულებით ბოჭავს.“<sup>89</sup>

განსახილველი მოთხოვნები, რომლებიც ერთის მხრივ ხელშეკრულების დადების ვალდებულებას განსაზღვრავენ, იმავდროულად წარმოადგენენ ხელშეკრულების შინაარსში ჩარევის საფუძველსაც, რადგანაც ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე პირი მოკლებულია შესაძლებლობას, შესთავაზოს მომხმარებლებს არსებითად განსხვავებული პირობები და ამით არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენოს ისინი.<sup>90</sup> ხელშეკრულების დადების ვალდებულება, ბაზარზე არსებულ დომინანტ საწარმოებთან ერთად ეკისრებათ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში მოქმედ იმ საწარმოებსაც, რომლებიც მომხმარებელს სთავაზობენ

<sup>87</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 197

<sup>88</sup> ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე, თ. ნინიძე, რ. შენგელია, ჯ. ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მესამე, თბ., გამომც. :სამართალი“, 2001, გვ. 63

<sup>89</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 198

<sup>90</sup> ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე, თ. ნინიძე, რ. შენგელია, ჯ. ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მესამე, თბ., გამომც. :სამართალი“, 2001, გვ. 64

საქონელს ან/და მომსახურებას იმ დათქმით, რომ კონტრაქტს ადინიშნული პირადი საჭიროებებისთვის ესაჭიროება.

ზემოხსენებული შეზღუდვები როგორც უკვე აღინიშნა ემსახურებიან მომხმარებელთა უფლებების დაცვას. მათი არსებობის საჭიროება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კონკრეტული არაკეთილსინდისიერი პირების მხრიდან არ მოხდეს კერძოსამართლებრივი ურთიერთობების უსაფუძვლოდ დაზარალება და სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოწყვლადი მხარის ინტერესების უგულვებელყოფა, რითაც არსებითად დაზარალდება ამ უკანასკნელთა სამართლებრივად დაცული ინტერესები, რაც სრულ თანხვედრაშია იმ სამოქალაქოსამართლებრივ პრინციპებთან, რომლებიც არსებითად განსაზღვრავენ სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებს სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში.

## **4.2 სამოქალაქოსამართლებრივი პრინციპები როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი**

„ხელშეკრულების თავისუფლების ძირითადი არსია ის, რომ მხარეებმა საკუთარი ინტერესის ფორმირება საკუთარ ნებაზე დაფუძნებული სახელშეკრულებო პირობებით მოახდინონ“<sup>91</sup> რაც გაგებულ უნდა იქნას იმგვარად, რომ მხარეთა კერძოსამართლებრივ ინტერესებს შორის უნდა მოხდეს გარკვეული ბალანსის დაცვა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე თითოეული პირის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა, რაც აბსოლუტური თავისუფლების პირობებში შეუძლებელი იქნებოდა.

ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, დაცულ იქნას სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე თითოეული პირის ინტერესი, მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმად გვევლინება ხელშეკრულების თავისუფლების შემზღუდავი ისეთი სამართლებრივი პრინციპები, როგორებიცაა სახელშეკრულებო თანასწორობა, სახელშეკრულებო სამართლიანობა და კეთილსინდისიერება.

---

<sup>91</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 102

## 4.2.1 სახელშეკრულებო თანასწორობა, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი

თანამედროვეობაში, როდესაც „თავისუფლებისა და თანასწორობის კონფლიქტი განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იძენს,<sup>92</sup> თანასწორობის, როგორც სამართლებრივი პრინციპის საფუძველზე თავისუფლების შეზღუდა სწორედ რომ თავისუფლების დაცვის შესაძლებლობად უნდა განვიხილოთ.<sup>93</sup> აღნიშნული შეზღუდვა, სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის ჭრილში, არ უნდა იქნეს აღქმული ისე როგორც სამართლის მიერ ფაქტობრივი თანასწორობის მიღწევის მცდელობა, რამეთუ მისი მიზანი მხოლოდ ფორმალური თანასწორობის მიღწევაში გამოიხატება.<sup>94</sup>

სახელშეკრულებო ურთიერთობების დროს ფორმალური თანასწორობის თვალსაზრისით, განსხვავებული შესაძლებლობების მქონე პირებს შესაძლებლობა ეძლეათ ჰორიზონტალურ საწყისებზე აღმოცენებული ურთიერთობის ფარგლებში, მოახდინონ საკუთარი ინტერესების რეალიზაცია.

აღნიშნული პრინციპი მაქსიმალურად გამორიცხავს რომელიმე მხარის მხრიდან საკუთარი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც სხვადასხვა საფუძველით შეიძლება იყოს განპირობებული. აღნიშნული პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ფორმალური თანასწორობის მიღწევის საფუძველით, კანონმდებელი უშვებს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის დროს კონკრეტული პირისათვის გარკვეული სახელშეკრულებო წინაპირობების განსაზღვრის შესაძლებლობას, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის შეზღუდვის პირდაპირ საფუძველად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც იმავდროულად მნიშვნელოვნად განაპირობებს სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის ისეთ პრინციპს, როგორც სახელშეკრულებო სამართლიანობა.<sup>95</sup>

---

<sup>92</sup> ე. ლომთათიძე, „საქართველოს კონსტიტუცია და თავისუფლება: თავისუფლება სახელმწიფოსგან თუ თავისუფლება საზოგადოებაში?“, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, 2016, გვ. 188 [http://www.library.court.ge/upload/saqarTvelos\\_konstitucia\\_20\\_wlis\\_Semdeg.pdf](http://www.library.court.ge/upload/saqarTvelos_konstitucia_20_wlis_Semdeg.pdf) წვდომის თარიღი 30.05.2020

<sup>93</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის No 1/3/534 გადაწყვეტილება

<sup>94</sup> გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ. გამომც. „მერიდიანი“ 2004, გვ. 76-77

<sup>95</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 105

## 4.2.2 სახელშეკრულებო სამართლიანობა, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი

სამართლიანობას, როგორც სამართლის აუცილებელ ნიშანთვისებას,<sup>96</sup> სახელშეკრულებო თანასწორობასთან ერთად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სახელშეკრულებო ურთიერთობების დროს, მხარეთა მიერ ნების ავტონომიის საფუძველზე გამოვლენილი სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლების განსაზღვრის თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც, სახელშეკრულებო ურთიერთობებში გათვალისწინებულია კანონით განსაზღვრულია ჩარევის ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც ურთიერთობის მონაწილე მხარეს კონკრეტული ვალდებულებების შესრულებას აკისრებს.<sup>97</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომელშიც მოცემული არაა სამართლიანობის კრიტერიუმები და რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განმარტების საგანს წარმოადგენს,<sup>98</sup> სახელშეკრულებო სამართლიანობა სახელშეკრულებო ურთიერთობის ყველა ასპექტშია განსაზღვრული.<sup>99</sup> აღნიშნულის მიხედვით, ყოველი კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს, სადავობისას, ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონკრეტული დებულებებისა თუ ვალდებულების წარმოშობის საფუძვლების შეფასება სახელშეკრულებო თავისუფლებისა და სამართლიანობის ჭრილში, რომელთა დისბალანსის შემთხვევაშიც, გადაწყვეტილების მიღება სახელშეკრულებო სამართლიანობის სასარგებლოდ ხდება.

სახელშეკრულებო სამართლიანობის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით პირდაპირ განსაზღვრულ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ 325-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თუკი ვალდებულების შესრულების პირობების განსაზღვრა უნდა მოხდეს სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე ერთ-ერთი მხარის, ან მესამე პირის მიერ, საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა სამართლიანობის საფუძველზე უნდა მოხდეს.<sup>100</sup> აღნიშნული ნორმატიული შინაარსი, რომელიც სახელშეკრულებო პირობების

<sup>96</sup> ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., გამომც. საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005, გვ. 292

<sup>97</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 109

<sup>98</sup> ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე, თ. ნინიძე, რ. შენგელია, ჯ. ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001, გვ. 79

<sup>99</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 109

<sup>100</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მუხლი 325

ჩამოყალიბებისას მხარეთა თავისუფლების სამართლიანობის საფუძველზე შეზღუდვას ითვალისწინებს, ემსახურება სახელმწიფოებო თანასწორობისა და სახელმწიფოებო ურთიერთობის კონტრაქტის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს, რომლის მართლზომიერებაზე მსჯელობაც ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე უნდა მოხდეს.

### 4.2.3 ხელმწიფოების თავისუფლების მიმართება კეთილსინდისიერების პრინციპთან

კეთილსინდისიერების, როგორც სამართლებრივი პრინციპის აღიარება, დამახასიათებელია თანამედროვე სამართლებრივი წესრიგისათვის,<sup>101</sup> რასაც გარდა თეორიულისა, მნიშვნელოვანი პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია სახელმწიფოებო ურთიერთობებში, ხელმწიფოების თავისუფლების ფარგლების დაკონკრეტების თვალსაზრისით.<sup>102</sup>

ნებისმიერი მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს, რომელიც „თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია.“<sup>103</sup> აღნიშნული დათქმა გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლით, რომლის მიხედვითაც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან თავიანთი უფლებები და მოვალეობები კეთილსინდისიერად განახორციელონ. კეთილსინდისიერება, საკუთარ თავში გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედების პასუხისმგებლობითა და ერთმანეთის უფლებების პატივისცემით მოპყრობის ვალდებულებას რომლის საფუძველზეც აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელმწიფოების ხარვეზები.<sup>104</sup>

სახელმწიფოებო ურთიერთობებში, სადაც კერძო ავტონომიის საფუძველზე მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება, არსებით როლს თამაშობს სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და მხარეთათვის ვალდებულებების განსაზღვრაში, იმ მოცემულობის გათვალისწინებით რომ აღნიშნულ ურთიერთობებში სახელმწიფოს ჩარევის ფარგლები კანონითაა შეზღუდული, საკუთარი

<sup>101</sup> დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესის სისტემური ცნებები, თბ., გამომც. „ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი“ 2009, გვ.83

<sup>102</sup> ს. ჯორბენაძე, სახელმწიფოებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 65

<sup>103</sup> საქართველოს უზენაესის სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის განჩინება Noას-1338-1376-2014

<sup>104</sup> იქვე.

უფლების კეთილსინდისიერად განხორციელებას საკვანძო როლი ენიჭება ურთიერთობის მონაწილე მხარეთა უფლებების ჯეროვანი დაცვის კუთხით.

ხელშეკრულების თავისუფლების გამოვლენასთან მიმართებით კეთილსინდისიერების პრინციპის განხილვისას, მნიშვნელოვანია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასდეს სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე პირთა ქცევა როგორც ხელშეკრულების დადების, ასევე სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრის დროს. აღნიშნული არ უნდა იქნას აღქმული ისე, თითქოს კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად შეფასდება მხარის ქმედება მაქსიმალურად უზრუნველყოს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის შესაბამისი საფუძვლის შექმა, თუმცა აღნიშნული ქმედების განხორციელების დროს მნიშვნელოვანია სამართალურთიერთობის მონაწილე მხარეთა ინტერესებს შორის ბალანსის დაცვა. ინტერესთა ბალანსის დარღვევა, რომლის დროსაც სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე პირის მიერ, ბაზარზე არსებული დომინირებული მდგომარეობის ან სხვა საფუძვლით, ისეთი სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრა, რომელიც მნიშვნელოვნად აზარალებს კონტრაქტს, კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად უნდა შეფასდეს. დათქმა, რომლის შესაბამისადაც, სამართალურთიერთობის მონაწილე პირი მოკლებულია შესაძლებლობას, ხელშეკრულებით გაითვალისწინოს მისთვის სასურველი ნებისმიერი პირობა, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვის გამოვლინებაა, რომელიც კანონის ფარგლებში ექცევა და ემსახურება სამოქალაქო კანონმდებლობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს.

#### 4.2.4 შუალედური შეჯამება

სახელშეკრულებო ურთიერთობების დროს, პირისათვის მოქმედების შეზღუდულად შეუზღუდავი არეალის მიცემისას, სამოქალაქოსამართლებრივ პრინციპებს განსაკუთრებული როლი ეკისრებათ სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლების დადგენისას, რითაც იმავდროულად ხდება თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივი წინაპირობების განსაზღვრა ურთიერთობის მონაწილე პირთა დაცვის მიზნით. აღნიშნული პრინციპები, მართალია იმპერატიულად მიუთითებენ მათი მოთხოვნების დაცვის აუცილებლობაზე, თუმცა არ განსაზღვრავენ უფლების შეზღუდვის კონკრეტულ მოცემულობას. გამომდინარე იქედან, რომ სახელშეკრულებო დებულების სამართლებრივ პრინციპებთან შესაბამისობის დადგენა ნებისმიერ შემთხვევაში შეფასებითი კატეგორიისაა, სადავო ურთიერთობისას კონკრეტული

გადაწყვეტილების მიღება ხდება კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, რაც სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის შეზღუდვას, საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული სამართალურთიერთობის ფარგლებში განსაზღვრავს.

სამართლიანობა, თანასწორობა და კეთილსინდისიერება, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პრინციპები, შესაძლებლობას იძლევიან მოხდეს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების საფუძველზე, სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში გამოვლენილი ნების თანახმად განაზღვრული, ვალდებულებების წარმომშობი დებულებების გადახედვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე, რომლის მიზანიც კონკრეტული ურთიერთობისას მხარეთა სამართლებრივი ინტერესების დაცვა და ამით სამოქალაქო ბრუნვის განვითარების ხელშეწყობაა, რაც თანხვედრაში მოდის იმ მიზანთან, რომელიც უშუალოდ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს გააჩნნია.

მიზანი, რომელსაც ზემოთ განხილული პრინციპები, სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის თვალსაზრისით ემსახურებიან, არსებითდ მსგავსია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპისათვის დამახასიათებელ მიზნებთან, რაც მნიშვნელოვნად ამართლებს უფლების შეზღუდვისათვის აუცილებელ კრიტერიუმებს, როგორც შეზღუდვის თანაზომიერების და ადეკვატურობის, ასევე საჭიროების თვალსაზრისით.

### **4.3. გარიგების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმების მნიშვნელობა**

#### **ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვისას**

ხელშეკრულება, როგორც გარიგების ყველაზე გავრცელებული სახე,<sup>105</sup> სამართლებრივი მოწესრიგების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილთან, რომლითაც ხდება გარიგების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმების განსაზღვრა. აღნიშნული დებულებები, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სახელშეკრულებო ურთიერთობებისას მხარის მიერ გამოვლენილი თავისუფლების საზღვრების დადგენაზე. იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანადაა გამოთქმული მოსაზრება, რომ „ხელშეკრულების თავისუფლება გარიგების ზოგად მომწესრიგებელ ნორმებს ეფუძნება“<sup>106</sup>, რომელთა მიხედვითაც

<sup>105</sup> ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე, თ. ნინიძე, რ. შენგელია, ჯ. ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001, გვ. 45

<sup>106</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 113



ხდება როგორც უშუალოდ გარიგების ცნების განსაზღვრა, ასევე მისი ფორმალური და შინაარსობრივი ფარგლების დადგენა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-53 მუხლებში გათვალისწინებული ნორმატიული შინაარსი ცხადყოფს, რომ გარიგება ეს არის სამართლებრივი ურთერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ მიმართული ნება, რომელიც საჭიროებს შინაარსობრივად დადგენას მასზე იმ იმპერატიული დათქმების გასავერცელებლად, რომლებიც მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობას განსაზღვრავენ. გარიგების შინაარსის დაუდგენლობის შემთხვევაში, ითვლება რომ ეს უკანასკნელი არ არსებობს და ყურადღება აღარ ექცევა იმას, დაცულ იყო თუ არა ხელშეკრულების ნამდვილობისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები.<sup>107</sup>

წინამდებარე ქვეთავში, განხილული იქნება გარიგების მომწესრიგებელი ის ზოგადი ნორმა, რომლებიც განსაკუთრებულ გავლენას ახდენენ სახელშეკრულებო ურთერთებებში ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვაზე და რიგ შემთხვევაში შესაძლებელია პრობლემურ დებულებებზე განვიხილოთ უფლების შეზღუდვის მიმართებით.

### **4.3.1. ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგების ჭრილში**

ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის მნიშვნელოვან საფუძვლებს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, რომელიც გარიგების შინაარსობრივ კონტროლს ეხება და კერძო ავტონომიის შეზღუდვის რამდენიმე შემთხვევას განამტკიცებს.<sup>108</sup> განსახილველი მუხლის მიხედვით, ბათლია გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, საჯარო წესრიგს ან წინააღმდეგობაში მოდის ზნეობის ნორმებთან. ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა ზემოხსენებული შინაარსით, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ემსახურება კერძო სამართალში წესრიგის დამყარებას,<sup>109</sup> კერძოსამართლევრივ ურთერთებებში იმგვარი ხელშეკრულების არსებობის გამორიცხვით, რომლებიც წინააღმდეგობაში შეიძლება მოვიდეს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპისათვის დამახასიათებელ

<sup>107</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 22 დეკემბრის №ას-650-943-05 გადაწყვეტილება

<sup>108</sup> ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., რედ. ლადო ჭანტურია, 2017, გვ. 312 [http://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil\\_code\\_comm\\_I\\_Book.pdf](http://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_I_Book.pdf) წვდომის თარიღ 09.06.2020

<sup>109</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 114

მიზნებთან და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურ განვითარებასთან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით: „სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს.“<sup>110</sup>

ზემოხსენებული ნორმატიული შინაარსით ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვის განხილვისას, მნიშვნელოვანია ცალ-ცალკე მოხდეს შეზღუდვის თითოეული საფუძვლის განხილვა და მათი შეფასება პრინციპის შეზღუდვის თანაზომიერებასთან მიმართებით.

#### **4.3.1.1. კანონით დადგენილი წესები და აკრძალვები, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგების ბათილობის პირველ საფუძველს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ასეთი შეთანხმება წინააღმდეგობაში მოდის კანონით დადგენილ წესებსა და აკრძალვებთან. განხილული მუხლის ნორმატიული შინაარსი პირდაპირ არ აკონკრეტებს იმას, თუ რომელი კანონით დადგენილი წესებისა და აკრძალვების დარღვევა წარმოადგენს გარიგების ბათილობის აბსოლუტურ საფუძველს, რაც სამართლიანად გვაფიქრებინებს იმას, რომ აღნიშნულ ჩანაწერში იგულისხმება ყველა ის კანონი თუ ნორმატიული მოწესრიგება, რომელიც მოქმედია და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას გარიგების მართლზომიერების საზომად,<sup>111</sup> იქნება ეს საჯარო თუ კერძოსამართლებრივი შინაარსის. მხარეთა ნების ავტონომიის გამოვლინებისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის რეალიზებისათვის აუცილებელია რომ სამართლებრივი ურთიერობა არ ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ მართლწესრიგს, რითაც თავიდან იქნება აცილებული ხელშეკრულების ბათილობა.<sup>112</sup> საპირისპირო შემთხვევაში, მხარეთა მიერ

<sup>110</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე (2016 წელი), თბ. 2018, გვ. 14. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-samoqalaqo-2016.pdf> წვდომის თარიღი 10.06.2020

<sup>111</sup> ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომცემლობა „სამართალი“, 2011, 351-352.

<sup>112</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის №ას-1221-1146-2015 განჩინება.

გამოვლენილი ნება, მიმართული კონკრეტული სამართლებრივი ურთერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, რომელიც უგულებელყოფს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ჩათვლება ბათილ გარიგებად და სახელშეკრულებო ურთერთობებში ვერ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ამასთანავე, აუცილებელი არ არის კანონი სიტყვა-სიტყვით შეიცავდეს ქმედების აკრძალვის ან კონკრეტული ქცევის წესის განმსაზღვრელ ჩანაწერს, საკმარისია ასეთი აკრძალვის შინაარსობრივად დადგენა, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვას.<sup>113</sup>

#### 4.3.1.2. საჯარო წესრიგი, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი

მართლწინააღმდეგობისა და ამორალურობის საფუძველით გარიგების ბათილობის განმსაზღვრელი ნორმით, ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის კიდევ ერთ საფუძველს, მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობა გვევლინება.

„საჯარო წესრიგი“ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში ახალი ცნება არ არის,<sup>114</sup> თუმცა, მიუხედავად ამისა, მისი დეფინიცია არც დოქტრინით და არც კანონმდებლობით დღემდე არ არის განსაზღვრული.<sup>115</sup> ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, საჯარო წესრიგის დარღვევად შეიძლება შეფასდეს ხელშეკრულება, რომელიც მომართულია ქვეყანაში არსებული სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამართლებრივი მოწესრიგების წინააღმდეგ, რაც თავის მხრივ აღნიშნული საფუძველით ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის ფართო შესაძლებლობას იძლევა.<sup>116</sup> პრაქტიკული თვალსაზრისით, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნისას, სასამართლო აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს და ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე განიხილავს ხელშეკრულების საჯარო წესრიგთან

<sup>113</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 115

<sup>114</sup> ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., გამომცემლობა „სამართალი“, 1997, 362

<sup>115</sup> ნ.ფიცხელაური, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბ., 2015 წელი. გვ. 129. ხელმისაწვდომია <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000806/Dis.Pitckhelauri%20N%2B.pdf>. წვდომის თარიღი: 10.06.2020.

<sup>116</sup> ს. ჯორბენაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 117

შესაბამისობის საკითხს. ერთ-ერთ დავაზე, საჯარო წესრიგთან მიმართებით მსჯელობისას, სასამართლოს განმარტების მიხედვით, საჯარო წესრიგის დარღვევად განიხილება სამოქალაქო სამართლის ისეთი ფუნდამენტური პრინციპების დარღვევა, რომელთა მეშვეობითაც ილახება არა მხოლოდ კონკრეტული პირის, არამედ საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესები.<sup>117</sup> აღნიშნული განმარტება, რომელიც ერთის მხრივ მიზნად ისახავს გადაწყვეტილების დასაბუთებას, მეორეს მხრივ კი საჯარო წესრიგის ცნების მიმართ არსებული ბუნდოვანებისათვის ნათელის მოფენას, რთულია განხილულ იქნას საჯარო წესრიგის სრულყოფილ და წინასწარგანსაზღვრებად ცნებად, რადგანაც საჯარო წესრიგის ფარგლების მიმართებით განხილულია სამართლებრივი ცნებები, რომლებიც თავის მხრივ შეფასებასა და დაკონკრეტებას საჭიროებენ.

„საჯარო წესრიგის“ ცნების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მას მაინც განიხილავს ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის მნიშვნელოვან საფუძველად, რომლის პრაქტიკული რეალიზებაც დიდწილად მხოლოდ სასამართლოს შეფასებაზეა დამოკიდებული.

### **4.3.1.3. ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა ზნეობრივ ნორმებთან წინააღმდეგობის საფუძველით**

ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან და იმავდროულად პრობლემურ საფუძველად გვევლინება გარიგების ბათლობა ზნეობრივ ნორმებთან წინააღმდეგობის მოტივით. აღნიშნული საფუძველი პრობლემურია იმდენად, რამდენადაც პრობლემურია იმის დადგენა თუ რას წარმოადგენს ზნეობა და რა იგულისხმება ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებაში.<sup>118</sup> გამომდინარე იქედან, რომ კანონმდებლობა ზნეობრივი ნორმების კოდიფიკაციას არ ახდენს, განსახილველი საკითხის შეფასება მთლიანად სასამართლოს პრეროგატივაა. თბილისის საქალაქო სასამართლომ, ერთ-ერთი საქმის განხილვისას განმატა, რომ გარიგება ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს, როდესაც არსებითად დარღვეულია ერთ-ერთი მხარის ინტერესი და მხარეები არათანაბარ პირობებში არიან წარმოდგენილნი... რა დროსაც ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სარგებლის ამორალური ხასიათი და მხარის სურვილი, მიიღს

<sup>117</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის №ას-533-786-08 განჩინება.

<sup>118</sup> ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., რედ. ლადო ჭანტურია, 2017, გვ.321 [http://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil\\_code\\_comm\\_I\\_Book.pdf](http://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_I_Book.pdf) წვდომის თარიღ 09.06.2020

მაქსიმალური მოგება.<sup>119</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გარიგება ამორალურად და შესაბამისად ზნეობრივ ნორმებთან შეუსაბამოდ მიიჩნევა, როდესაც იგი ეწინააღმდეგება სოციალური სამართლიანობის პრინციპს და ხელშეკრულების მონაწილე მხარეს აყენებს შეუსაბამოდ რთულ მდგომარეობაში.<sup>120</sup> აღნიშნული განმარტებები, საკუთარი შინაარსით საზოგადოებრივი ურთიერთობების საკმაოდ ფართო სპექტს მოიცავს, რა დროსაც რთულია ობიექტური გარემოებების სუბიექტური კრიტერიუმით შეფასება. მართალია, ზნეობის მოთხოვნებთან ხელშეკრულების შინაარსის შეუთავსებლობის განხილვისას, სასამართლო ობიექტურად წარმოდგენილ გარემოებებს აფასებს საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი ნორმების ჭრილში, თუმცა, ზნეობის არანორმატიული და სუბიექტური ბუნებიდან გამომდინარე, მისი როგორც ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის აბსოლუტურ საფუძვლად განხილვა რიგ შემთხვევებში შესაძლებელია პრინციპის გაუმართლებელ შეზღუდვად შეფასდეს.

### 4.3.2. შუალედური შეჯამება

ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვასა და სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარის მიერ გამოვლენილი ნების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო ბრუნის განვითარების და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე პირთა ინტერესების დაცვისათვის, რაშიც გარიგების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები საკვანძო როლს თამაშობენ და გარკვეულწილად ქმედების სტანდარტს განსაზღვრავენ, რომელთა უგულებელყოფაც ვეღარ ჩაითვლება დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისუფლების გამოვლენად. მიუხედავად ზემოხსენებული ნორმების მნიშვნელობისა, აუცილებელია რომ თითოეული მათგანი მკაფიოდ და კონკრეტულად განსაზღვრავდეს თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, რათა მოხდეს ურთიერთობის მონაწილე პირთა მიერ ქმედების ლეგიტიმურობის წინასწარ განსაზღვრა.

ბუნდოვანი საკანონმდებლო მოწესრიგების შემთხვევაში, საკითხის მოწესრიგება რთულდება როგორც უშუალოდ ურთიერთობების ეტაპზე, ასევე სასამართლო განხილვის დროს, რადგანაც ერთიანი მიდგომის არარსებობის შემთხვევაში, ამა თუ იმ ქმედების შეფასებისას სასამართლო მხოლოდ შინაგანი რწმენითა და საკუთარი მსოფლმხედველობით ხელმძღვანელობს,

<sup>119</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის 2/13966-12 გადაწყვეტილება

<sup>120</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 6 თებერვლის 28/4123-12 გადაწყვეტილება

რა დროსაც საკმაოდ მაღალია იმის ალბათობა რომ ვერ მოხდეს ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხის გათვალისწინება, რომელთა გათვალისწინებაც არსებითად მნიშვნელოვანია ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვისათვის.

## თავი V კვლევის შედეგები

ხელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის, როგორც ქმედითი სამოქალაქოსამართლებრივი ინსტიტუტის განხილვა, მისი ფუნქციონალური დანიშნულების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოხდეს იმ სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი რეალობის ჭრილში, რომლის გავლენითაც არსებითად განისაზღვრება სამოქალაქოსამართლებრივი პრინციპის მოქმედების ფარგლები.

სახელშეკრულებო თავისუფლების ისტორიული საფუძვლების შესწავლა და მისი განვითარების ტენდენცია სხვადასხვა ეპოქისათვის დამახასიათებელ სამართლებრივ რეალობაში ნათლად მიუთითებს განსახილველი პრინციპის ლოგიკურ განვითარებაზე საზოგადოებრივი საჭიროებებისა და სოციალური-ეკონომიკური გავლენების გათვალისწინებით.

რომის სამართლისათვის დამახასიათებელი სახელშეკრულებო თავისუფლების ნიშნებიდან დაწყებული, თანამედროვე დემოკრატიის სამართლებრივი წყობაში, განსახილველი პრინციპის ფაქტობრივი გამოხატულების უზარმაზარი შესაძლებლობის გათვალისწინებით, რაც თავის მხრივ საზოგადოებრივი საჭიროების საფუძვლად ხელშეკრულების თავისუფლების სამართლებრივ განვითარებაში ვლინდება, ბუნებრივად იკვეთება ტენდენცია, რომელიც არსებითად განსაზღვრავს წინამდებარე პრინციპის მნიშვნელობას სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირთა მიზნების რეალიზაციის პროცესში მხარეთა სამართლებრივად გარანტირებული უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის ისტორიული საფუძვლების შესწავლა ცხადყოფს მის უზარმაზარ დანიშნულებაზე არა მარტო სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხითაც, რაც პირდაპირ კავშირშია პიროვნების განვითარებასა და მის მიერ გამოვლენილი ნებასთან.

ნების გამოვლენა თავის მხრივ არსებითად უკავშირდება იმ საზოგადოებრივ წყობილებას, სადაც აღნიშნული ნება უნდა რეალიზდეს. თუკი ხელშეკრულების თავისუფლება, როგორც პიროვნების მიერ გამოვლენილი ნება, დემოკრატიულ წყობილებაში მნიშვნელოვან სამართლებრივ ინსტიტუტად გვევილენა, რომლის ფაქტობრივი გამოვილების შესაძლებლობაც სოციალური ურთიერთობების უმრავლესობას მოიცავს, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში განსახილველი

პრინციპის მხოლოდ ნორმატიული მოწესრიგების შესაძლებლობა უნდა განვიხილოთ, რომლის ქმედით გამოვლინებასაც საზოგადოებრივ ურთიერთობებში ადგილი ვერ ექნება.<sup>121/122</sup>

წინამდებარე კვლევაში განხილული ნორმატიული მასალის დოქტრინული კვლევა ხაზს უსვამს დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოებო თავისუფლების უზარმაზარ მნიშვნელობას სამოქალაქო ბრუნვისა და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, სადაც პიროვნების მიერ გამოვლენილი ნება ფაქტობრივად შეუზღუდავი ხასიათისაა. სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული ხელმწიფოების თავისუფლების პრინციპი, რომლის მიხედვითაც პირი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა თავისუფალია გადაწყვიტოს სახელმწიფოებო ურთიერთობაში შესვლა-არშესვლის საკითხი და ხელმწიფოების შინაარსი, როგორც მრავალკომპონენტური შესაძლებლობა, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირებს უფლებამოსილებას ანიჭებს სხვადასხვა ფორმით მოახდინონ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება, იქნება ეს ხელმწიფოების ფორმის, ტიპის თუ სახელმწიფოებო ურთიერთობის დროს კონტრაქტის არჩევის გზით.

ხელმწიფოების თავისუფლების პრინციპი, რომელიც მხარეთა მიერ ხელმწიფოების დადებისა და ხელმწიფოების შინაარსის თავისუფლებას გულისხმობს, საკუთარ თავში, ზემოხსენებული შესაძლებლობების გარდა, მოიაზრებს სახელმწიფოებო თავისუფლების ისეთ გამოვლინებებს, როგორც ოფერტისა და აქცეპტის თავისუფლება, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან სრულყოფილად მოხდეს სახელმწიფოებო ურთიერთობების დროს მხარეთათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლების რეალიზაცია ყოფით ურთიერთობებში. აღნიშნული მტკიცების შესაძლებლობას გვადლევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კონკრეტული დებულებებისა და იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების სიტემური ანალიზი, რომელთა მეშვეობითაც ხდება იმ ფარგლების ზუსტი დადგენა, რომელსაც კვლევით განსაზღვრული პრინციპის ნორმატიული შინაარსი განსაზღვრავს.

წინამდებარე კვლევით განხილული მასალა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოებო თავისუფლების პრინციპი, რომლის პირდაპირ ნორმატიულ საფუძვლადაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილი გვევლინება, კავშირშია სამოქალაქო სამართლის მრავალ დარგთან და მასზე პირდაპირ გავლენას ახდენს კანონმდებლობით

---

<sup>121</sup>M. Pellegrino, Postkommunismus und Zivilrecht, das Obligationenrecht Georgiens, Europaischer Verlag der Wissenschaften, Frankfurt am Main, Peter Lang, 1997, seite 116

<sup>122</sup> ს. ჯორბენაძე, სახელმწიფოებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 51-52



განსაზღვრული სამართლებრივი ნორმები, რომლებიც, პრინციპით განსაზღვრული თავისუფლების ფარგლებთან ერთად, ადგენენ განსახლველი თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლებსაც.

ნაშრომში განხილული მასალა ცხადყოფს, რომ სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მინაწილე პირთა სამართლებრივი ინტერესების დაცვა სამოქალაქო ბრუნვისა და ეკონომიკური წინსვლისათვის განსაზღვრული მიზნობრიობის თვალსაზრისით, რომლის საფუძველზეც კანონმდებლობით განსაზღვრული თითოეული შესაძლებლობა უნდა განიმარტოს სამოქალაქო სამართლისთვის დამახასიათებელ პრინციპებთან შესაბამისობაში.

სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის სამოქალაქოსამართლებრივი საფუძვლები პირობითად შესაძლებელია სამ ნაწილად დაიყოს. პირველი ესაა პრინციპის შეზღუდვის ის ნორმატიული მოწესრიგება, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლითაა განსაზღვრული, სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვის აუცილებლობისა და „კონტრაჰენტის იძულების“ სამართლებრივი შესაძლებლობის სახით. მეორე ესაა გარიგების მომწესრიგებელი ზოგადი დებულებების საფუძვლად ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობა. მესამე კი სამოქალაქოსამართლებრივი პრინციპები, რომლებიც მკაცრად განსაზღვრავენ თავისუფლების გამოვლინების იმ მიზნობრიობასთან შესაბამისობის აუცილებლობას, რომლებიც აღნიშნულ პრინციპებს გააჩნიათ.

სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის სამოქალაქოსამართლებრივი საფუძვლების ნორმატიული ანალიზი, დოქტრინულ მოდგომებსა და სხვადასხვა საკვანძო საკითხის მიმართ არსებული სასამართლო პრაქტიკის განხილვასთან ერთად შესაძლებლობას იძლევა გამოიკვეთოს რიგი საკითხებისა, რომლებიც პრინციპით გათვალისწინებული ფაქტობრივი გამოვლენის მნიშვნელობის გათვალისწინებით, პრობლემურ საკითხებად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

განსახილველ კონტექსტში, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგების ბათილობის საფუძვლად სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობა, რომლის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, საჯარო წესრიგს ან წინააღმდეგობაში მოდის ზნეობის ნორმებთან.

ნორმით განსაზღვრული სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობებიდან, პრობლემურია 54-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, როელიც თავისუფლების შეზღუდვის საჯარო წესრიგისა და ზნეობრივ ნორმებთან წინააღმდეგობის

საფუძვლით შესაძლებლობას იძლევა იმდენად, რამდენადაც არ ხდება შეზღუდვისათვის გათვალისწინებული ცნებების დაკონკრეტება და ფარგლების დადგენა, აღნიშნული კი ბუნებრივად აჩენს შესაძლებლობას გაუმართლებლად მოხდეს სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვა მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების ნაკლის არარსებობის პირობებში. საჯარო წესრიგისა და ზნეობის მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომების პირობებში, ერთიანი ნორმატიული მოწესრიგების არარსებობისა და სასამართლო პრაქტიკის მრვალფეროვნების გათვალისწინებით, ხშირ შემთხვევაში დაუსაბუთებლად ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობების მონაწილე პირთა სამარლებრივად განსაზღვრული უფლების შეზღუდვა.

საჯარო წესრიგისა და ზნეობრივ ნორმებთან შესაბამისობის განხილვისას, სასამართლო ხშირ შემთხვევაში, ხსენებული ცნებების განმარტებისას იშველიებს სამოქალაქოსამართლებრივ პრინციპებს და მათთან წინააღმდეგობას განიხილავს როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით განსაზღვრულ ნორმატიული შინაარსის დარღვევად, რაც თავის მხრივ არ უნდა ჩაითვალოს უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძვლად იმ პირობებში, როდესაც კერძოსამართლებრივი პრინციპები დამოუკიდებლად განსაზღვრვენ სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას. საჯარო წესრიგისა და ზნეობის ბუნდოვანი სამართლებრივი ბუნება ართულებს სამართლებრივი განჭვრეტადობს თვალსაზრისით ნორმის გამოყენებისათვის გასაზღვრული ფარგლების დადგენას, რაც როგორც უკვე აღინიშნა პრაქტიკული თვალსაზრისით სახელშეკრულებო თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვის შესაძლებლობას იძლევა.

სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის მეორე „პრობლემურ“ შემთხვევდ შესაძლებელია განვიხილოთ უშუალოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის მესამე წინადადება, რომლის მიხედვითაც, „თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით.“ შინაარსობრივი თვალსაზრისით აღნიშნული დათქმა არ შეიცავს არანაირ პრობლემას და თანხვედრაში მოდის ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვისათვის განსაზღვრულ მიზნობრიობასთან, თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით განსაზღვრული გარიგების ბათილობის განმაპირობებელი ნორმის არსებობის შემთხვევაში, რომლის მიხედვითაც გარიგება ბათლია თუკი ის ეწინააღმდეგება კანონით განსაზღვრულ წესსა და აკრძალვებს, ზემოხსენებული ნორმა ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის დამატებით შესაძლებლობად უნდა განვიხილოთ, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც ნორმით განსაზღვრული მიზანი მაინც მიიღწეოდა.

კვლევით განსაზღვრული საკითხების განხილვა გვიჩვენებს, რომ სახელშეკრულებო თავისუფლების ნორმატიულ მოწესრიგებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უფლების ფაქტობრივი რეალიზებისათვის განსაზღვრული ფარგლების დადგენისას, სადაც თავისუფლების განსაზღვრასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძვლების დადგენა რათა არ მოხდეს სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის სამართლებრივად დაცული ინტერესების გაუმართლებლად შეზღუდვა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მოხდეს ბალანსის დაცვა განსახილველი პრინციპით მინიჭებული თავისუფლების ფაქტობრივი გამოხატულებისათვის შესაძლებლობის მიცემასა და უფლების შეზღუდვისათვის განსაზღვრულ მიზნებს შორის, რომელიც სამოქალაქო კოდექსში არსებული რიგი ბუნდოვანი დებულების არსებობის პირობებში, გარკვეულწილად აფერხებს სამართლებრივი ინსტიტუტის ზრდისათვის აუცილებელ სოციალურ-ეკონომიკურ აქტივობებს, რომელთა საფუძვლადაც ხდება როგორც სამოქალაქო ბრუნვის, ასევე სამართლებრივი ინსტიტუტის ნორმატიული მოწესრიგების განვითარება.

## დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილული საკითხებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სახელმწიკრულებო თავისუფლების სამართლებრივი ინტიტუტი, რომელიც იმავდროულად სამართლებრივი პრინციპად განიხილება, პირდაპირ კავშირშია სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირთა თავისუფლებასთან, რაც განსაზღვრავს კიდევ მის დანიშნულებასა და ქმედითობას სოციალურ-ეკონომიკური აქტივობების დროს. ნების კერძო ავტონომიაზე დაფუძნებული შესაძლებლობა, მხარეებმა დამოუკიდებლად, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, განსაზღვრონ საკუთარი მიზნების მიღწევის ოპტიმალური გზები, ბუნებრივად საჭიროებენ ქმედითი ბერკეტების არსებობას, რომელთა გამოყენებითაც მოხდება პირისათვის მინიჭებული უფლების ფაქტობრივი გამოვლენა სამართალურთიერთობის მონაწილე მხარეთა უფლებების დაცვასთან ერთად, რაც ტოტალური თავისუფლების პირობებში შეუძლებელი იქნებოდა, შესაბამისად, თავისუფლების მომწესრიგებელი ფარგლების დადგენა ისეთივე მნიშვნელობის მატარებელია, როგორც თავად სამოქალაქო სამართალურთიერთობის დროს პირისათვის თავისუფლების მინიჭება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი, კოდექსში განმტკიცებულ სხვა დებულებებთან ერთად განამტკიცებენ სახელმწიკრულებო თავისუფლების უფლებისათვის დადგენილ ფარგლებს და იმ ნორმატიულ-სამართლებრივ საფუძვლებს, რომლებიც ხსენებული თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლად გვევლინებიან, რაც ერთიანობაში უზრუნველყოფს როგორც უფლების რეალიზაციას, ასევე უფლების რეალიზაციის პროცესში სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილე პირთა სამართლებრივ დაცვას. აღნიშნული თვალსაზრისით, განასკუთრებულ როლს თამაშობენ სამოქალაქოსამართლებრივი პრინციპები, თანასწორობის, სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების სახით, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიკრულებო თავისუფლების პრინციპით განსაზღვრული ქმედების განხორციელების პროცესში სამართალურთიერთობის მონაწილე პირთა ინტერესების დაბალანსებასა და დაცვას.

სამოქალაქოსამართლებრივი პრინციპების არსებობასთან ერთად, რომლებიც შედარებით ფართო ხასიათის შინაარის შემცველი დებულებები არიან, აუცილებელია ქმედების შემზღუდავი კონკრეტული ნორმატიული მოწესრიგების არსებობაც, რაც უკეთ უზრუნველყოფს სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. აღნიშნულ ფუნქციას თავის მხრივ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლით განსაზღვრული ხელმწიკრულების

თავისუფლების შეზღუდვის ნორმატიული შინაარსი და გარიგების მომწესრიგებელი იმპერატიული დებულებები განამტკიცებენ, რომლებიც წინასწარგანჭვრეტადს ხდიან ქმედების სამართლებრივ შედეგს კანონმდებლობასთან წინააღმდეგობის შემთხვევაში.

გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით განსაზღვრული შინაარსი, რომელიც სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების საჯარო წესრიგისა და ზნეობის შეფასებითი კატეგორიით შესაძლებლობას იძლევა. როგორც უკვე აღინიშნა, სამართლებრივი ინსტიტუტის განსახლველი საფუძვლებით შეზღუდვა პრობლემას ქმნის მათი ფუნქციონალური გამოყენებადობის თვალსაზრისით უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურობისა და თანაზომიერების კონტექსტში, რადგანაც ხსენებული ცნებები ფაქტობრივად განუსაზღვრელი შინაარსის მატარებელია და ქმნის სახელშეკრულებო ურთიერთობების უმრავლესობაში მისი გამოყენების შესაძლებლობას.

საჯარო წესრიგისა და ზნეობის შეფასებითი ბუნებიდან გამომდინარე, დავის განხილვისას, სამართალურთიერთობის ბედი მთლიანად სასამართლოს მიერ განვითარებულ მსჯელობასა და საკითხის მიმართ არსებულ ხედვებზეა დამოკიდებული, სადაც ობიექტურად გამოვლენილი ნება შესაძლებელია სუბიექტური არსის ცნებებით შეიზღუდოს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოხდეს როგორც უშუალოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის ნორმატიული შინაარსის გადახედვა, ასევე იმ დოქტრინული მიდგომების გაჯანსაღება, რომლებიც დიდრილად განსაზღვრავენ უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლების ფარგლებს სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის კონტექსტში.

ხსენებული სამართლებრივი ხარვეზის აღმოფხვრა შესაძლებელია ერთის მხრივ საჯარო წესრიგისა და ზნეობის განუსაზღვრელი ცნებების საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის ნორმატიული შინაარსიდან ამოღებით, რომლის შემდეგაც გარიგების ბათილობის საფუძვლად მხოლოდ ხელშეკრულების კანონით დადგენილ წესებთან და აკრძალვებთან წინააღმდეგობა იქნება. ხსენებული საფუძვლების კანონმდებლობიდან ამოღება გუმართლებლად არ შეზღუდავს სახელშეკრულებო ურთიერთობებში პირთა დაცვისათვის განსაზღვრული მიზნების მისაღწევად დადგენილ შესაძლებლობებს, რადგანაც იმავე მიზნების მიღწევა კერძოსამართლებრივი პრინციპების მოქმედებით იქნება შესაძლებელი.

მეორე გზა, რომლითაც განსახილველი სამართლებრივი პრობლემის აღმოფხვრა იქნება შესაძლებელი, მდგომარეობს საჯარო წესრიგისა და ზნეობის ცნების ნორმატიულ მოწესრიგებაში, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდება კონკრეტულად განისაზღვროს ის მიმართულებები,

რომლებიც აღნიშნული ცნებებთან წინააღმდეგობრივ ქმედებად მიიჩნება, რისთვისაც მნიშვნელოვანია საკითხის არა მარტო სამართლებრივი, არამედ სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების სიღრმისეული შესწავლა.

საკითხის ნორმატიულ მოწესრიგებასთ ერთად, მნიშვნელოვანია სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების მიმართ ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება უშუალოდ სამოქალაქო სამართალწარმოების დროს თავისუფლების შეზღუდვის ფარგლების დადგენის თვალსაზრისით, სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად შემუშავებული მითითებების გზით, რომელიც იმპერატიულად სავალდებულო ხასიათის არქონის მიუხედავად, დიდწილად გაამარტივებს ხელშეკრულების თავისუფლებისა და სახელშეკრულებო ურთიერთობებში პირთა სამართლებრივად გარანტირებულ უფლებებს შორის ბალანსის დაცვას რომელიმე მათგანის გაუმართლებლად შეზღუდვის გამორიცხვით.

# გამოყენებული ლიტერატურა

## მონოგრაფიები

1. ბურდული ი., და „სხვები“, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, რედ. ლ.ჭანტურია, თბ., 2017;
2. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., გამომც. „საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი“, 2005;
3. ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, თბ., გამომც. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013;
4. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესის სისტემური ცნებები, თბ., გამომც. „ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი“ 2009;
5. ლაფაჩი ე., იჯარის ხელშეკრულება რომის სამართალსა და ძველ ქართულ სამართალში, როგორც თანამედროვე იჯარის ხელშეკრულების ისტორიული წინაპარი, 2012;
6. ლობჯანიძე გ., რომის სახელმწიფო და სამართალი, ნაწილი II, რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალი, რედ., რომან შენგელია, ქუთ., გამომც., „საგამომცემლო ცენტრი“, 2009;
7. მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, „რედ“. ნ. ნათაძე, ო. ჯოიევი, „მთარგმნ“. დ. ლაბუჩიძე, თბ. გამომც. შშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 1994;
8. ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბ. გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2009;
9. როდინაძე კ., რომის კერძო სამართალი, პირველი გამოცემა, ბათ. გამომც. „შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2009;
10. ფიცხელაური ნ., სადისერტაციო ნაშრომი თემაზე ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბ., 2015;
11. შენგელია ი., სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2009;
12. ძლიერუშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი (სახელშეკრულებო სამართალი სკოლებისთვის) თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014;

13. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ჯ. ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მესამე, თბ., გამომც. :სამართალი“, 2001;
14. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ჯ. ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი პირველი, თბ., გამომც. :სამართალი“, 2002;
15. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომცემლობა „სამართალი“, 2011;
16. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., გამომცემლობა „სამართალი“, 1997
17. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ. გამომც. „მერიდიანი“ 2004
18. ჯორბენაძე ს., სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., გამომც. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017;

### უცხოენოვანი ლიტერატურა

19. Friedman L. M., Law in America, a Short History, New York. Edit. Modern Library, 2004;
20. Heinrich Ch., Formale Freiheit und materiale Gerechtigkeit. Die Grundlagen der Vertragsfreiheit und Vertragskontrolle am Beispiel ausgewahlter Probleme des Arbeitsrechts, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2000;
21. Ллойд Д., Идея Права, Перевод с английского, М. А. Юмашева, Ю. А. Юмашев, М. Югона, Москва 2002;
22. Oda H., Russian Commercial Law, Second Edition, Leiden, Martinus Nijhoff Publishers, 2007;
23. Pellegrino M., Postkommunismus und Zivilrecht, das Obligationenrecht Georgiens, Europaischer Verlag der Wissenschaften, Frankfurt am Main, Peter Lang, 1997;

### სასამართლო პრაქტიკა

24. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის 2/13966-12 გადაწყვეტილება
25. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 6 თებერვლის 2ბ/4123-12 გადაწყვეტილება



26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 22 დეკემბრის №ას-650-943-05 გადაწყვეტილება
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის №ას-533-786-08 განჩინება.
28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის No:ას-1359-1197-2010 განჩინება;
29. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის No 1/3/534 გადაწყვეტილება
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის No:ას-1144-1090-2014 გადაწყვეტილება;
31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის განჩინება Noას-1338-1376-2014
32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის №ას-1221-1146-2015 განჩინება.
33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის No:ას-744-2019 განჩინება;
34. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს No. 1/2/434 გადაწყვეტილება

### ნორმატიული აქტები

35. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997;
36. საქართველოს კანონი იარაღის შესახებ, თბ., 2003
37. საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 14 აგვისტოს კანონი

### ვებ. გვერდები

38. ლომთათიძე ე., „საქართველოს კონსტიტუცია და თავისუფლება: თავისუფლება სახელმწიფოსგან თუ თავისუფლება საზოგადოებაში?“, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, 2016 [http://www.library.court.ge/upload/saqarTvelos\\_konstitucia\\_20\\_wlis\\_Semdeg.pdf](http://www.library.court.ge/upload/saqarTvelos_konstitucia_20_wlis_Semdeg.pdf)
39. მესხიშვილი მ., ხელშეკრულების პირობითი დაყოფა ტიპებად, დოქტორანტა კვლევითი კომპონენტი, 2015; [https://newvision.ge/sites/default/files/2.xelshekrulebebis\\_pirobiti\\_daqopa\\_tipebad.pdf](https://newvision.ge/sites/default/files/2.xelshekrulebebis_pirobiti_daqopa_tipebad.pdf)

40. საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე (2016 წელი), თბ. 2018, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-samoqalaqo-2016.pdf>
41. ფიცხელაური ნ., სადისერტაციო ნაშრომი თემაზე ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბ., 2015 წელი. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000806/Dis.Pitckhelauri%20N%2B.pdf>.
42. ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., რედ. ლადო ჭანტურია, 2017, [http://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil\\_code\\_comm\\_I\\_Book.pdf](http://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_I_Book.pdf)
43. ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებით სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., რედ. ლადო ჭანტურია, 2019, [http://lawlibrary.info/ge/books/giz2019-ge-civil\\_code\\_comm\\_III\\_book.pdf](http://lawlibrary.info/ge/books/giz2019-ge-civil_code_comm_III_book.pdf)
44. ჯორბენაძე ს., სადისერტაციო ნაშრომი თემაზე „ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, თბ., 2016 [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/sergi\\_jorbenadze.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/sergi_jorbenadze.pdf)
45. Younkings Y., Freedom of Contract, Liberty Free Press, june 15, 2010; <http://www.quebecoislibre.org/younkings25.html>
46. <https://www.demokratiegeschichte.eu>
47. <https://matsne.gov.ge/>
48. <http://www.supremecourt.ge/>